პარლამენტი დასაქმების წინააღმდეგ A2

„სკოტლენდ იარდი" კომენტარს გვპირდება A4

თურქული მარშის ბოლო აკორდი A5

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 30 ივნისი, 2002 წელი. №28

ფასი 50 თეთრი

## გამოცხადებული სიცოცხლის ქრონიკა

გიორგი ასანიშვილი

*გუშინ ფილარმონიაში გამართულ მოქალაქეთა კავშირის რიგგარეშე V ყრილობაზე პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ გაკეთებული განცხადებები იმის მაუწყებელია, რომ 2003 წლის საპარლამენტო და 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება უკვე დაწყებულია. საქართველოს დღევანდელი ლიდერის თქმით, იგი თანამდებობიდან ვადაზე ადრე წასვლას არ აპირებს, მაგრამ არც უფლებამოსილების გაგრძელებაზე დათანხმდება. შევარდნაძე უკვე ღია მინიშნებებს აკეთებს იმ ძალებზე, რომლებმაც, ხელისუფლებიდან მისი წასვლის შემდეგ, ქვეყნის მმართველობა უნდა ჩაიბარონ.*

**"ყველაფერს გავაკეთებ, რომ მოქალაქეთა კავშირი განვითარდეს, აღორძინდეს და თავისი გადამწყვეტი სიტყვა თქვას მომავალ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში,"** - განაცხადა ყრილობის 1500 დელეგატის წინაშე ედუარდ შევარდნაძემ. იმის გათვალისწინებით, რომ გუშინდელ ფორუმზე პრეზიდენტის ფავორიტი პარტიის თავმჯდომარედ, თავად შევარდნაძისავე ხელდასხმით, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე აირჩიეს, ხოლო საქართველოს პრეზიდენტი 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში ფსონს სწორედ სმკ-ზე ჩადის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მთელი უმაღლესი სახელმწიფო ნომენკლატურით ზურგგამაგრებულ მოქკავშირის ახალ ხელმძღვანელს, მომავალ საპრეზიდენტო ციკლში, ალბათ, უკვე ქვეყნის წინამძღოლობაზე ექნება პრეტენზია.

თუმცა, შევარდნაძეს (გუშინდელ ფორუმზე ის პარტიის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს) ისიც კარგად ესმის, რომ რეიტინგდაცემულ "მოქალაქეებს" მარტო მისი სურვილების იმედად ყოფნა ხეირს არ მოუტანს და ამიტომაც ურჩევს თანაპარტიელებს, მომავალი საბრძოლო ბატალიების დაწყებამდე, მოკავშირეების შეძენაზე იზრუნონ და "პატრიოტულად განწყობილ ძალებთან ითანამშრომლონ."

გაგრძელება A2 გვერდზე

# „მოქალაქეებო", სწორდით! სწორება ავთანდილ ჯორბენაძეზე!



ავთანდილ ჯორბენაძე მოდის...

ლევან ხერხეულიძის ფოტო

## ნაცნობი პარტიის ყრილობა, თანამდებობის მაძიებელი უცნობი სახეების თანხლებით

თამარ ხორბალაძე

გუშინ "მოქალაქეთა კავშირის" ყრილობაზე შესასვლელად ფილარმონიის კარებებთან რიგი იდგა. რიგში მოსაწვევებით აღჭურვილი, საგულდაგულოდ "გაცხრილული" "ახალი მოქალაქეები" - ძვირფასოდეკოლონიანი თბილისელი ბიძები, "ნაცნობუმრავლესობელი" პარლამენტარები, სახელისუფლებო კადრები რეგიონებიდან და ცოტა შეგვიანებული ჟურნალისტები ჩანდნენ. რიგის სწრაფად გასვლას აყოვნებდა სამთავრობო დაცვა, რომელიც, ტრადიციულად, საკუთარი პარტიის დელეგატებისგან პრეზიდენტის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა.

პარტიის დელეგატებს ამაგი უნდა დაუფასდეთ და აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მათ ჟურნალისტებს საკუთარი რიგები წინააღმდეგობის გარეშე გაარღვევინეს.

ფოიეში კამერიანმა კოლეგებმა ლამის ერთადერთი ნაცნობი სახე - ირაკლი გოგავა მოიხელთეს.

დარბაზის კარებთან შემოგვაჩეჩეს გაზეთი, რომელიც, ერთი პირობა, "მოქალაქეთა კავშირის" სარეკლამო თუ საპროგრამო ფურცელი გვეგონა, თუმცა საბოლოოდ ხელში თბილისის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის კოლეჯის რეკლამა შეგვრჩა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ორშაბათიდან საარჩევნო ბიულეტენებს სარდაფიდან ამოიღებენ

თამარ მჭედლიშვილი

***პირველი ივლისიდან ცენტრალური საარჩევნო კომისია სარდაფში დაყრილი ბიულეტენების ინვენტარიზაციას იწყებს. ეს პროცესი ორი დღე გაგრძელდება და მასზე დამკვირვებლებად პარტიების წარმომადგენლებსა და ცესკოში აკრედიტებულ ჟურნალისტებს მიიწვევენ. რაც შეეხება თავად გადათვლის წესს, მას კომისია მოგვიანებით მიიღებს – მაშინ, როცა ცესკოში სპეციალურად შექმნილი ჯგუფი შესაბამის პროექტს შეიმუშავებს.***

ამ ჯგუფში კომისიის ხუთი წევრი შევა. მათ კომისიის რამდენიმე განყოფილების თანამშრომლებიც მიეხმარებიან. ყველამ ერთად კი, ხუთ ივლისამდე უნდა წარმოადგინოს საკუთარი შრომის პროდუქტი, ანუ ბიულეტენების გადათვლის პროექტი. მისი მიღება კი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად მოეწონება ეს წესი მთელ კომისიას. საქმე ის არის, რომ წესს დადგენილების სტატუსი ენიჭება. შესაბამისად, კენჭისყრის დროს ხმების ორი მესამედი იქნება საჭირო.

არ არის გამორიცხული, იგივე "სახალხოელებმა" ან "სოციალისტებმა" არ მოიწონონ მისი რომელიმე პუნქტი და ხმა წინააღმდეგ მისცენ. თუკი მოვლენები ამ სცენარით განვითარდება, მაშინ ცესკო მოჯადოებულ წრეში აღმოჩნდება და ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევს. ვითარებას ისიც ძაბავს, რომ ცესკოს სწორედ სასამართლომ დაავალა ამ პროცედურის ჩატარება. შესაბამისად, დავალების შეუსრულებლობა სასამართლოს წინააღმდეგ გალაშქრებად მოინათლება.

კომისიაში საკმაოდ ცხარე კამათი გამოიწვია ინვენტარიზაციის თემამ. კომისიის რამდენიმე წევრი ითხოვდა, ეს პროცედურა ბიულეტენების გადათვლის პარალელურად ჩატარებულიყო. ამის მიუხედავად, უმრავლესობამ მაინც ინვენტარიზაცია მიიჩნია უფრო აქტუალურად. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ბიულეტენები საარჩევნო უბნების მიხედვით დახარისხდება და საერთო ოქმიც შედგება.

როგორც ჩანს, პროცედურა საკმაოდ დაძაბულად წარიმართება, რადგან ცესკოში უკვე გამოთქვამდნენ ეჭვს, ბიულეტენების გაფუჭებასა თუ პარტიებისთვის ხმების მომატების თაობაზე.

ეჭვები ეჭვებად, მაგრამ ქალაქს საკრებულო კვლავ არ ჰყავს და ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს ქალაქის მთავრობა იღებს. სხვათა შორის, როგორც "გაერთიანებული დემოკრატები" ამბობენ, ეს მერიისათვის სულაც არ არის ცუდი. ასე, მაგალითად, ვასილ მაღლაფერიძე ამტკიცებს, რომ **"თუკი ჯერ კიდევ რამე დარჩა შესახრავი, სწორედ ახლა მიმდინარეობს მისი შეჭმა".**

## ვალერი ხაბურძანია: „ვგრძნობ, ცუდი რაღაც მოდის...„



A3

ვალერი ხაბურძანია

ლევან ხერხეულიძის ფოტო

## თერჯოლასა და ჭიათურაში მაჟორიტარ დეპუტატებს ირჩევენ

წინასაარჩევნო ვნებები კი ისევ თბილისიდან ღვივდება

გიორგი ასანიშვილი

*დღეს თერჯოლასა და ჭიათურაში მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნები ტარდება. საქართველოს პარლამენტში არსებული ვაკანსიის დასაკავებლად თერჯოლაში კენჭს იყრიან სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი როლანდ მესხი, სახალხოელი ვანო ხუხუნეიშვილი და დამოუკიდებელი კანდიდატი ზვიად აბესაძე; ხოლო ჭიათურაში - სოციალისტი თენგიზ მოცრაძე და დამოუკიდებელი კანდიდატი თემურ ჯაფარიძე. იმის გათვალისწინებით, რომ სოციალისტებს ორივე საარჩევნო ოლქში ჰყავთ თავისი კანდიდატი, ისინი ყურადღებით ადევნებენ თვალს წინასაარჩევნო კამპანიას და გარკვეულწილად, შეშფოთებულები არიან.*

გაგრძელება A2 გვერდზე

## დღეს ფინალია!

ბრაზილია სანთლებს ანთებს

ეკლესიები დილიდან დაიწყებენ მათთვის ლოცვას, კარიერის უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ მათ დიდი პელე აკურთხებს. ფიფა-მ კი უკვე დაუბრუნა მათ ადგილი მსოფლიო რეიტინგის სათავეში. ბრაზილიური "სელესაოსა" და მისი ტორსიდისათვის ფინალურ მატჩში წარუმატებლობა გამორიცხულია. მათ სჯერათ, რომ "პენტას" - მეხუთე ტიტულს ვეღარაფერი დაუდგება წინ.

ბრაზილიას ჯერაც არ დავიწყებია 1998 წელს განცდილი ტრაგედია. **"ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს,"** – თითქმის ერთდროულად წარმოთქვამენ რონალდო და რივალდო, **"ფინალის კიდევ ერთხელ წაგების უფლება ჩვენ არ გვაქვს."** ორივემ ერთად ეს, 4 წლის წინ, საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ განიცადეს და მათ კარგად იციან, რომ 170 მილიონი ბრაზილიელი "სელესაოს" აღარ აპატიებს მეხუთე ტიტულის დაკარგვას.

**"დღემდე მეკითხებიან 1998 წელს განცდილი მარცხის თაობაზე, მაგრამ გულახდილად გეტყვით, რომ ამაზე საერთოდ აღარ ვფიქრობ. უკვე მაშინ ვიყავი დარწმუნებული, რომ ფინალის მოგების შანსი კიდევ მომეცემოდა – 1998 წელი მეხსიერებიდან ამოვშალე,"** – ამბობს რონალდო.

გაგრძელება A6 გვერდზე

ჟურნალისტთა ვნებები A2

"BEST EFFORT 2002" - კიდევ ერთი ლეგენდის დასასრული A3

ალიევი 2008 წლამდე დარჩება A4

"ფრთხილად, ტონი, მაგ კაცს ხელები სისხლში აქვს გასვრილი" A4

"მეტრომედია" საქართველოსა და რუსეთს ტოვებს A4

ფოთის ნავმისადგომები უცხოელ ინვესტორებს იჯარით გადაეცემა A4

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 21 |
| ქუთაისი | 25 |
| ბათუმი | 23 |
| სოხუმი | 24 |
| ფოთი | 24 |
| თელავი | 19 |
| ზუგდიდი | 26 |
| გორი | 20 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1900 |
| ევრო | 2.1709 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.2214 |
| რუბლი | 0.0695 |

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ინფორმაცია A5 სპორტი A6 სპორტი A7 სპორტი A8 სხვადასხვა

# ნაცნობი პარტიის ყრილობა, თანამდებობის მაძიებელი უცნობი სახეების თანხლებით

პირველი გვერდიდან

"ასეთი მომავლით გეგმავს აზრამ ბაზელი მომავალი თაობის აღზრდას", - იუწყებოდა გაზეთი. ზუსტად ვერ გეტყვით, იგულისხმებოდა თუ არა "ასეთ მომავალში" "მოქალაქეთა კავშირის" მომავალი, მაგრამ პარტიის სათათბიროში ბაზელის გვარის გამოჩენამ, ყრილობის მონაწილეთა წინაშე მისთვის გაწეული რეკლამის ფასი კარგად დაგვანახა.

ყრილობაზე შევარდნაძის ტრადიციულად მხარდამჭერი "არასაპარლამენტო" და "არასაკანცელარიო", მოკლედ, სხვადასხვა თანამდებობების მიღმა დარჩენილი ინტელიგენციიდან, ჟურნალისტების საკმაოდ დაკვირვებულმა მზერამ ნაცნობი სახეების პოვნა თითქმის ვერ მოახერხა.

ერთი იყო, რუსუდან ბერიძის გვერდით ჩანდა გურანდა გაბუნია (მეუღლის გარეშე) და, თითქმის მარტო, "განაპირას" იჯდა აჩი მეფარიძე, რომელმაც თავისი ყოფნა ყრილობაზე **"ავთო ჯორბენაძესთან პირადი ურთიერთობით, თავის დროზე თანამშრომლობით"** ახსნა და სახელმწიფო მინისტრის იმ პიროვნულ თვისებებზე ისაუბრა, რომლებიც **"პარტიის წარმატებას უსათუოდ განაპირობებენ"**. მიუხედავად ამ გარანტირებული წარმატებისა, მეფარიძე "გაპარტიულებას," ჯერჯერობით მაინც, ნამდვილად არ აპირებს. ყოველ შემთხვევაში, როგორც "24 საათს" "გამოუტყდა", აქამდე, ანუ გუშინდლამდე, ასეთ პერსპექტივაზე არ დაფიქრებულა.

სამაგიეროდ, მთელი შემადგენლობით იყო წარმოდგენილი ქართული სამთავრობო სპექტრი, თავისი ენერგეტიკის და კულტურის მინისტრებიანად, რომლებმაც პარტიაში შესვლის განზრახვა კატეგორიულად უარყვეს.

სესილი გოგიბერიძემ გუშინ კიდევ ერთხელ განგვიცხადა, რომ პარტიაში შესვლას არ აპირებს და თუ მინისტრობა და პარტიის წევრობა ერთ სასწორზე დაუდეს, თავისუფლებას ანუ უპარტიობას არჩევს.

ენერგეტიკის მინისტრმა პარტიაში შესვლის შესახებ შეთავაზების არსებობაც უარყო. მან ყრილობაზე მოსვლა მოსაწვევის მიღებითა და პრეზიდენტის აქ ყოფნით ახსნა, ყრილობის დატოვება კი, ირაკლი გოგავას მიერ მისი გადადგომის მოთხოვნის შემდეგ გადაწყვიტა. ამ საკითხის კომენტირებისას დავით მირცხულავამ განაცხადა, რომ თანამდებობიდან მას ჯერ მხოლოდ შემცვლელ კადრზე "შეუჯერებლობის" გამო არ ხსნიან. **"თუ გამათავისუფლეს, ამას პარტიაში შეუსვლელობას არ დავაბრალებ... გოგავამ კი საერთოდ არ იცის, რა ფუნქცია აქვს ენერგეტიკის მინისტრს, არ იცის, რომ ჩვენ სამეურნეო საკითხები არ გვეხება. არც ის იცის, რომ "თბილგაზი" ბუნებრივი აირის ფულს თუ არ გადაიხდის, გაზს ნებისმიერი მინისტრის დროს გაგითიშავენ,"** – თქვა მინისტრმა და ფილარმონიის კიბეებს დაღმა დაუყვა.

ის-ის იყო, ქართველ ძალოვანთა "დამოუკიდებლობაზე" და "აპოლიტიკურობაზე" ალაპარაკდნენ ჟურნალისტები, რომ "მოქალაქეთა ყრილობაზე", იმავე მოსაწვევითა და პრეზიდენტის ხათრით, უპარტიო შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი გამოჩნდა. ყრილობაზე მოგვიანებით მოვიდა უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანიაც, რომელმაც "24 საათს" განუცხადა, რომ მოსვლის დრო პრეზიდენტის გამოსვლის სავარაუდო პერიოდის მიხედვით შეარჩია.

ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრიდან ყრილობაზე მხოლოდ ვახტანგ რჩეულიშვილმა გაიბრწყინა. მან შეკრებილ საზოგადოებას ლოჟიდან გადმოხედა, ავთო ჯორბენაძის გამოსვლას ბოლომდე უსმინა, როგორც შემდგომში - პრეზიდენტის სიტყვაში გამოჩნდა, ქვეყნის პირველ პირს წარსულ თანამშრომლობაზე მოგონებები "აუშალა" და ყრილობაც ჩუმად დატოვა.

თავად თავყრილობა კი, არც იმდენად გრძელი აღმოჩნდა, რამდენადაც მის გასაშუქებლად მივლინებულ "გულშეწუხებულ" ჟურნალისტებს შეეძლოთ ევარაუდათ. ამაში მთავარი დამნაშავე, ჩვენდა ბედად, გუშინდელი თურქეთისა და კორეის საფეხბურთო მატჩი გახლდათ, რომლის ხათრითაც "მოქალაქეებმა" შეუსვენებლად და მუხლჩაუხრელად ხუთის თხუთმეტ წუთამდე იმუშავეს.

# გამოცხადებული სიცოცხლის ქრონიკა

პირველი გვერდიდან

მართალია, პრეზიდენტი არ აკონკრეტებს, თუ ვის გულისხმობს "პატრიოტულ ძალებში", მაგრამ ამ საკითხზე საუბრისას იგი საკმაოდ თბილად იხსენიებს ისეთ პოლიტიკურ ფიგურებს, როგორებიც არიან ვახტანგ რჩეულიშვილი და ვახტანგ გოგუაძე.

შიდაპოლიტიკურ საყრდენად კი მოქალაქეთა კავშირმა, შევარდნაძის აზრით, ინტელიგენცია და ახალგაზრდობა უნდა აირჩიოს. **"ინტელიგენცია ქმნის საზოგადოებრივ აზრს, რომელიც ხშირად მატერიალურ ფასეულობებზე ძვირფასია. არც ის დაგავიწყდეთ, რომ ძალა, რომელიც საქართველოს სხვა გზით წაყვანას ცდილობს, ახალგაზრდობაზე მუშაობს და იმდენი უნდა მოვახერხოთ, რომ მომავალმა თაობამ არ აკენკოს მათი საკენკი,"** - აცხადებს სმკ-ს საპატიო თავმჯდომარე.

თუ გუშინდელ ფორუმზე ედუარდ შევარდნაძემ "მოქალაქეებს", ძირითადად, სამომავლო ამოცანები დაუსახა, პარტიის ახალმა თავმჯდომარემ თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი იმ მიზეზებზე საუბარს დაუთმო, რამაც ერთ დროს მძლავრი სახელისუფლებო პარტია ღრმა კრიზისამდე მიიყვანა. თუმცა, მისი საუბარი საკმაოდ ზოგადი იყო და მხოლოდ ზოგიერთ ეპიზოდში შეიცავდა მინიშნებებს იმ ჯგუფზე, რომელმაც "პასუხისმგებლობას თავი აარიდა და ყველაფერი ქვეყნის პრეზიდენტს გადააბრალა". ავთანდილ ჯორბენაძე ყრილობაზე ერთ მეტად უცნაურ განცხადებასაც აკეთებს: **"პარტიული ნიშნით დაწინაურების პრაქტიკამ განაპირობა მთავრობაში არაკვალიფიციური კადრების მოზღვავება,"** - და ამას სახელმწიფო მინისტრი იმ ფონზე აცხადებს, როდესაც მოქალაქეთა კავშირის რიგების შესავსებად მძლავრი სარეკლამო კამპანია მიმდინარეობს და თანამდებობის პირებს აიძულებენ, სმკ-ს რიგები შეავსონ.

მოქალაქეთა კავშირის პოლიტიკური აქციების გაუფასურების მიზეზად პარტიის ახალი თავმჯდომარე ასახელებს ეკონომიკურ და სოციალურ სიძნელეებს, ტერიტორიული მთლიანობის და პანკისის პრობლემებს, ეკონომიკის პოლიტიზებას, კორუფციას, რეფორმების "ხაფანგში მოხვედრას" და ა. შ. ამასთან, ავთანდილ ჯორბენაძე არ აპირებს, მომხდარზე პასუხისმგებლობა სხვებს გადააბრალოს. **"ჩვენ უნდა ვიკისროთ იმ იმედგაცრუების ტვირთი, რომელიც ბოლო წლებში მოქალაქეთა კავშირმა წარმოშვა საზოგადოებაში,"** - აცხადებს პარტიის ახალი ლიდერი.

მისგან განსხვავებით, "მოქკავშირის" სხვა ხელმძღვანელი პირები ამ ტვირთის ზიდვაზე უარს ამბობენ და თითს სხვებისკენ იშვერენ, მათი არგუმენტები კი ზოგჯერ ღიმილის მომგვრელია. მაგალითად, პარლამენტარი ზეზვა ღულუნიშვილი მიიჩნევს, რომ **"წინა ხელმძღვანელობის დროს არ ტარდებოდა ყრილობები და კონფერენციები, პარტიის რიგითი წევრები მოკლებულნი იყვნენ აზრის გამოხატვის საშუალებას და ბევრმა სწორედ ამიტომ დატოვა სმკ-ს რიგები."**


სმკ-ს ყრილობაზე
ლევან ხერხეულიძის ფოტო

სამაგიეროდ, უფრო მძაფრი, მეტიც - გამაოგნებელია აჭარელ "მოქალაქეთა" თავკაცის პოზიცია. აზიზ ახვლედიანი საუბრობს "უცოდინარი, საქმეში ჩაუხედავი ახალგაზრდა პოლიტიკანების ჯგუფზე, რომლისგანაც განწმენდილი სმკ ნოეს კიდობანივით გამოვიდა აზობოქრებული ზღვიდან და მალე დაიბრუნებს ძველ სახელსა და დიდებას." ამასთან, ახვლედიანი მრისხანებით აცხადებს, რომ საინფორმაციო პროგრამა "კურიერი" არის ანტისახელმწიფოებრივი არხი, რომ პრესა გაივსო მოსყიდული ჟურნალისტებით, რომ აუცილებელია პრესის კანონის მიღება (რომელიც უკვე დიდი ხანია არსებობს -ავტ.), რომ არ არის საჭირო ამდენი გაზეთი და საკმარისი იქნებოდა ერთი, ჭეშმარიტად სახალხო გაზეთის არსებობა...

ყრილობაზე იყო სხვა ისეთი გამოსვლებიც, რომლებიც შეიცავდნენ რეცეპტებს იმის შესახებ, თუ, მაგალითად, როგორ უნდა ებრძოდეს ხელისუფლება კორუფციას. კერძოდ, ავღანეთის ომის ერთ-ერთი ვეტერანი სრული სერიოზულობით ირწმუნებოდა, რომ კორუფციასთან და კონტრაბანდასთან ბრძოლას მხოლოდ ერთი დღე სჭირდება -პრეზიდენტმა და სახელმწიფო მინისტრმა უნდა დაიბარონ უწყებათა ხელმძღვანელები და კატეგორიულად აუკრძალონ მათ ქრთამის აღება, და თუ მაინც აიღებენ... დაიჭირონ.

მიუხედავად იმისა, რომ გუშინდელი ფორუმი არ იძლეოდა ასეთი დაეჭვების საბაბს, ყრილობაზე თითქმის უკლებლივ ყველა გამომსვლელი დარწმუნებული იყო, რომ "მოქკავშირის" რიგებში ჯერ კიდევ არიან ორპირი ელემენტები და ამიტომ, პარტიული წმენდის ჩატარება აუცილებელია, ხოლო თუ ვინ არიან მათი "სულიერი მამები", კოლექტივის ყოფილი თავმჯდომარის გვარის დაუსახელებლადაც ნათელია.

**"საქართველოდან დასავლეთში ჩვენი პარტიის ზოგიერთი ყოფილი წევრის მიერ გადის დეზინფორმაცია";**

**"გარე-გარე სირბილს და საქართველოზე ავის თქმას თავი უნდა დაანებონ. სამშობლოზე ავის თქმა მხოლოდ სახლში შეიძლება";**

**"ამ ბატონებს, რომლებსაც მსუბუქი პოლიტიკური ყოფაქცევა აქვთ, პოლიტიკურმა ალღომ უმტყუნა";**

**"ამ ჩაგრულ ხალხს, რომლებიც შვიდი წელიწადი იყვნენ ხელისუფლების სათავეში, აქვთ პერსონალური ტელევიზია";**

**"ვითომ ნიჭიერი ხალხი";**

**"ქართული დემოკრატიის ახალგაზრდა მამები"**.

ერთი სიტყვით, ვიღაც-ვიღაცეების უხსენებლად ხსენება გუშინ ფილარმონიაში ჩვეულებრივი ამბავი იყო.

"ტროცკისტების" ლანძღვით გულმოფხანილ და მომავალი წარმატებების რწმენით გულანთებულ "მოქალაქეებს" არც პარტიული ფორუმებისთვის აუცილებელი პროცედურების ჩატარება დავიწყებიათ - თავმჯდომარისა და საპატიო თავმჯდომარის არჩევის გარდა, ყრილობის დელეგატებმა დაამტკიცეს პარტიის წესდება და მიიღეს მანიფესტი, დააფუძნეს დარბაზი (სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო) და განახლებული ხელმძღვანელი სტრუქტურა - მთავარი საბჭო...

"ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!" - დაახლოებით ასეთი განწყობა სუფევდა "მოქალაქეების" გუშინდელ ყრილობაზე.

"ჯერ გადახტით, ჰოპლა მერე დაიძახეთ!" - ფორუმზე რომ მიეშვათ, ალბათ, ასეთი იქნებოდა "ნამოქალაქრების" პასუხი მათ მოჭარბებულ ოპტიმიზმზე.

ასეთი დაუსწრებელი დიალოგი, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება - საპარლამენტო და მითუმეტეს, საპრეზიდენტო არჩევნებამდე საკმაო დროა.

# ჟურნალისტთა ვნებები

თამარ მაისურაძე

**"ჩვენი მოთხოვნაა, დაესვას წერტილი პირველ არხზე კორუფციას და განუკითხაობას. ჩვენ არ გვაქვს არანაირი სხვა მოთხოვნა. შენგელიას განცხადება, თითქოსდა ტელევიზიის კიბეებზე მოწყობილ აქციას სხვადასხვა პოლიტიკური ძალები მართავენ, სიმართლე არ არის. დაგვისაბუთონ და დაგვისახელონ ფაქტი, რომელიც ამას დაადასტურებს,"** – განაცხადა ჟურნალისტმა თამარ ბოლქვაძემ, გუშინ, ჟურნალისტის სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე. **"თუ ცილს გვწამებენ და თუ მათი ბრალდებები სიმართლეს შეესაბამება, მაშინ პასუხიც მოგვთხოვონ სათანადო ორგანოებში,"** – ამბობენ სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელობით უკმაყოფილო თანამშრომლები და თავიანთი ბრალდებების დასამტკიცებლად კონტროლის პალატის აქტს იშველიებენ. თამარ ბოლქვაძის თქმით, **"კონტროლის პალატის აქტში, რომელიც 2002 წლის მარტით თარიღდება, ნათლად ჩანს კორუფციის მომენტები."** შეკრებილნი სახელმწიფო ტელევიზიაში არსებულ კორუფციას სახელფასო პოლიტიკითაც ხსნიან. **"ტელევიზიაში მომუშავე მძღოლს, სახელფასო განაკვეთით, არანაირად არ ერგება 1200-1300 ლარის ხელფასი ან საშვებულებო თანხა. მით უმეტეს, როცა ჩვენი თანამშრომლები ერთი - შიმშილით, მეორე კი წამლის არქონის გამო გარდაიცვალა,"** – ამბობენ ისინი.

ჟურნალისტთა სახლში ნეიტრალური პოზიციის მქონე სახელმწიფო ტელევიზიის თანამშრომლებიც იყვნენ. გადაცემა "ოქროს ვექტორის" ხელმძღვანელი ნინო მდივანი კოლეგებს თანაუგრძნობს, თუმცა მიიჩნევს, როგორც ერთი ან მეორე მხარის ბრალდებების დასამტკიცებლად, შესაბამისი დოკუმენტაციაა საჭირო.

პრესკონფერენციას პირველი არხის გენერალური დირექტორი გურამ კუციავაც ესწრებოდა. **"მე აქ ჩემი თანამშრომლების მოსასმენად მოვედი, რადგან ვალდებული ვარ, მათ მოვუსმინო,"** – გვითხრა მან და კომენტარისგან თავი შეიკავა.

# თერჯოლასა და ჭიათურაში მაჟორიტარ დეპუტატებს ირჩევენ

## წინასაარჩევნო ვნებები კი ისევ თბილისიდან ღვივდება

პირველი გვერდიდან

**"ერთგანაც და მეორეგანაც (განსაკუთრებით კი თერჯოლაში) საარჩევნო კომისიები ჩვენს მოწინააღმდეგე კანდიდატურებს უჭერენ მხარს, რაც 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროსაც ნათლად გამოვლინდა. გარდა ამისა, გვაქვს სიგნალები, რომ ხელისუფლებისა და ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან რაღაც პროვოკაცია მზადდება,"** - აცხადებს საპარლამენტო ფრაქცია "სოციალისტის" თავმჯდომარე ირაკლი მინდელი, რომელიც ყოველგვარი გაუგებრობების პრევენციის მიზნით, თანაგუნდელებთან ერთად, იმერეთის რეგიონში ჩასვლასა და არჩევნებზე დასწრებას აპირებს. ამავე დროს, იგი მოუწოდებს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, თერჯოლასა და ჭიათურაში რაც შეიძლება მეტი დამკვირვებელი მიავლინონ.

ირაკლი მინდელი დეპუტატობის კანდიდატთა შანსებზეც საუბრობს და აცხადებს, რომ თერჯოლის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის როლანდ მესხისა ძალიან ეიმედება, მის ძირითად კონკურენტად კი ზვიად აბესაძეს მიიჩნევს. **"მართალია, აბესაძე დამოუკიდებელ კანდიდატად სახელდება, მაგრამ, მე მგონი, "ახლებიც" და "ნაციონალური მოძრაობაც" მას უჭერს მხარს,"** - ვარაუდობს ფრაქცია "სოციალისტის" ლიდერი.

რაც შეეხება სოციალისტების მეორე ფავორიტს - თენგიზ მოცრაძეს, მას უკვე გააჩნია საქართველოს პარლამენტში საქმიანობის გამოცდილება, წინა არჩევნებში კი მეორე ტურში გავიდა და გაასწრო თბილისის ცირკის დირექტორს თემურ ჯაფარიძეს, რომელიც ამჟამადაც უწევს მეტოქეობას. ამ უკანასკნელის მხარდამჭერებადაც ირაკლი მინდელი იმავე "ახლებსა" და "ნაციონალებს" ასახელებს.

**"ფრაქციულ შეკრებებზე "ახლები" ამბობდნენ, რომ ჯაფარიძეს უჭერენ მხარს, ბოლო ინფორმაციით კი, თბილისის ცირკის დირექტორს "ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი ორგანიზაციაც ემხრობა,"** - აცხადებს მინდელი.

ფრაქცია "სოციალიტის" თავმჯდომარის მოსაზრებებს არ ეთანხმება "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი პეტრე ცისკარიშვილი. მისი თქმით, აბესაძესთან და ჯაფარიძესთან "ნაციონალებს" არაფერი აკავშირებთ და თუ პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში, ისინი მიხეილ სააკაშვილის გუნდთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამენ, ეს უკვე მათი პირადი გადასაწყვეტი იქნება. ცისკარიშვილი იმასაც გამორიცხავს, რომ "ნაციონალურ მოძრაობას" "ახლებთან" რაიმე საერთო ჰქონდეს და მითუმეტეს, არჩევნებში საერთო კანდიდატი ჰყავდეთ.

რაც შეეხება დეპუტატობის კანდიდატთა რეიტინგს, ცისკარიშვილის განცხადებით, ჭიათურაში მოსახლეობა სოციალისტების წინააღმდეგ არის განწყობილი და რადგან თემურ ჯაფარიძე ვახტანგ რჩეულიშვილის გუნდის წევრად არ მიიჩნევა, მას ელექტორატის დიდი მხარდაჭერა აქვს.

"ნაციონალების" მსგავსად, "ახალი მემარჯვენეებიც" დაბეჯითებით აცხადებენ, რომ თერჯოლისა და ჭიათურის მაჟორიტარულ არჩევნებში საკუთარი კანდიდატურები არ ჰყავთ. მართალია, "ახლების" საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე დავით გამყრელიძე თბილისის ცირკის დირექტორთან შეხვედრის ფაქტს არ უარყოფს, მაგრამ, ამასთან, გადაჭრით ამტკიცებს, რომ **"სოციალისტების განცხადებები აბსოლუტურად არასწორია და თემურ ჯაფარიძე "ახლების" კი არა, არამედ დამოუკიდებელი კანდიდატია."**

თუ გამყრელიძის მტკიცებას ვირწმუნებთ და თერჯოლასა და ჭიათურაში "ახალ მემარჯვენეებს" თავისი კანდიდატურები მართლა არ წამოუყენებიათ, მაშინ ისიც ლოგიკური იქნება, რომ მათ და "ნაციონალებს" საერთო კანდიდატები ვერ ეყოლებათ.

# პარლამენტი დასაქმების წინააღმდეგ

## "სახელებით და გვარებით დავასახელებ ყველას, ვინც ამ საქმის ჩაშლას მოინდომებს," - იმუქრება რევაზ საყვარელიძე

მაკა ჭაიანი

დაახლოებით ერთი წლის წინათ, როდესაც შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარემ პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში შეკრებილ კანონმდებლებს განუცხადა: თქვენგან დამატებით თანხებს არ ვითხოვთ, თუ დაგვანებებთ, რეფორმისთვის იმას ვიმყოფინებთ, რაც გვაქვსო, დიდი აღფრთოვანება არავის გამოუხატავს. მაშინ პარლამენტარები განსაკუთრებით კრიტიკულები, ხშირ შემთხვევაში, სკეპტიკურები იყვნენ და მონდომებით ასამარებდნენ იდეას, რომელსაც ჯერ დღის სინათლე არ ენახა. მოგვიანებით ამ წინააღმდეგობის მიზეზს ნაწილობრივ მოეფინა ნათელი. დასაქმების ფონდის შემოწმებამ აჩვენა, რომ ჩვენი ხელფასებიდან უმუშევართა დასაქმებისთვის მოკრებილი თანხები, ძირითადად, საეჭვო პროექტების დაფინანსებას ხმარდებოდა.

დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების დეპარტამენტში მიაჩნიათ - პარლამენტართა წინააღმდეგობა იმან გამოიწვია, რომ დასაქმების ახალი პოლიტიკა თანხების თავისუფალი განკარგვის დღემდე მიღებულ წესს აუქმებს. **"ჩემი მონაცემებით, ბევრს სურს, პროექტი ჩაშალოს. იმის გამო, რომ 2 მილიონ 600 ათასი ლარი ჩამოგვაჭრეს, ველარ ვახერხებთ დევნილების, მრავალშვილიანების, თადარიგში დათხოვნილი სამხედროების, ქალების, ეკოლოგიური მიგრანტებისა და არასერთიფიცირებული ექიმების დასაქმების დაგეგმილი პროექტების განხორციელებას. დაგვრჩა 600 ათასი ლარი და, როგორც ვიცი, მასზეც თვალი უჭირავთ. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: სახელებით და გვარებით დავასახელებ ყველას, ვინც ამ საქმის ჩაშლას მოინდომებს,"** - ამბობს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე რევაზ საყვარელიძე.

მაინც, რას ეწინააღმდეგებიან და რას იცავენ ასე გაშმაგებით?

დასაქმების ახალი პოლიტიკა სახელმწიფო სტრუქტურებს დამკვირვებლის როლს უტოვებს, პროექტები კი კერძო სუბიექტების - კონსალტინგ-ცენტრების, ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების საშუალებით განხორციელდება. 23 ივლისს მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდება რეგისტრირებული უმუშევრების პირველი ტესტირება. მან, თუ შეიძლება ასე ითქვას, მცირე მეწარმეობის ნიჭის მქონე უმუშევრები უნდა გამოავლინოს. ტესტებს ფსიქომეტრული ასოციაცია ამუშავებს და უმუშევართა უნარ-ჩვევების გამოვლენას ისახავს მიზნად. მათ, ვინც ტესტირებას წარმატებით გაივლის, კონსალტინგ-ცენტრებში ცხრადღიანი უფასო ბიზნესწვრთნა ჩაუტარდება. აქაც წარმატებულები, იმავე ცენტრების საშუალებით, მომავალი საქმიანობის ბიზნესგეგმას შეადგენენ და დასაფინანსებლად ბანკს წარუდგენენ.

ინდივიდუალური პროექტების დაფინანსების მაქსიმალური თანხა 6000 ლარია. აქედან 3600 ლარს ბანკი გასცემს, 2400 კი - სახელმწიფო, დასაქმების პროგრამისთვის დარჩენილი 600 ათასი ლარიდან. მასზე პროცენტის გადახდა კრედიტის გამტანს არ ესაჭიროება. ამგვარი ოპერაციის წარმოებას აქამდე ის უშლიდა ხელს, რომ ქვეყანაში ლიკვიდური გარანტორი არ არსებობდა. დასაქმების ახალი პოლიტიკით, ამ ფუნქციას თავის თავზე იღებს ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანია. იგი აზღვევს საბანკო კრედიტის, 3600 ლარის 60 პროცენტს, დარჩენილი 40 პროცენტის, ესე იგი 1600 ლარის დაბრუნების გარანტია კი უმუშევარმა თავად უნდა მოიძიოს. რევაზ საყვარელიძის განმარტებით, ეს იმისთვის გაკეთდა, რომ კრედიტორმა პასუხისმგებლობის შეგრძნება არ დაკარგოს. სადაზღვევო კომპანია ყველაფერ ამისგან იღებს კლიენტს - კრედიტორი მასთან ეზღვევა, და გარანტიას იმისა, რომ, კრედიტის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, მის მიერ დაზღვეული თანხის ნახევარს სახელმწიფო გადაიხდის.

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ, შეზღუდული ფინანსების გამო, პროექტი მხოლოდ 2500 უმუშევარს მოიცავს, თუმცა, დასაწყისისთვის ეს სავსებით საკმარისია. მილიონი სამუშაო ადგილის ვერა და ვერ შემქმნელი ჩვენი ხელისუფლებისთვის წელიწადში 2500 რეალურად დასაქმებული ცოტას არ უნდა ნიშნავდეს. აქედან გამომდინარე, მოახლოებული არჩევნების ფონზე წინააღმდეგობანას თამაში მისთვის მომგებიანი არ უნდა იყოს. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტში წინააღმდეგობის არსებობას საერთოდ გამორიცხავენ. **"ჩვენ გვქონდა გარკვეული შენიშვნები, რომლებიც გაითვალისწინეს, სხვა არა გვაქვს,"** - თქვა ჩვენთან საუბარში კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ თამაზ გიორგაძემ. საინტერესო განცხადებაა. მით უმეტეს, რომ, რევაზ საყვარელიძის ინფორმაციით, ამ ცოტა ხნის წინათ პარლამენტის წარმომადგენლები საბანკო ტენდერის შიგნიდან ჩაშლას ცდილობდნენ.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ზექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, საშა შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჭოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# ვალერი ხაბურძანია: „ვგრძნობ, ცუდი რაღაც მოდის...„

## "24 საათის" სტუმარია და მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია

### რა ნაღმზე აფეთქდნენ კოდორში მესაზღვრეები

დაზუსტებული ინფორმაცია არ მაქვს, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ დაცვის მიზნით ყოფილიყო ეს ნაღმები ჩადებული. კონფლიქტური ტერიტორიები ყოველთვის სავსეა ნაღმებით. მესაზღვრეები ფლობენ სიტუაციასა და ინფორმაციას. უფრო მათი მისამართით უნდა იყოს ეს შეკითხვები.

### მე-11 მოტომსროლელ ბრიგადას + მაიორი მჭედლიძე

ჯერ მე-11 ბრიგადის თემატიკას შევეხები, რამდენიმე რადიოსადგური და ტყვიამფრქვევი რომ გაიტაცეს. ამ საქმეში წარმატებები გვაქვს. აქტიურად მუშაობს სამხედრო პროკურატურა. გასული ვართ ეჭვმიტანილებზე, მაგრამ ამ ტიპის დანაშაულში მთავარი შემსრულებლები არ არიან. ალბათ, ამითაც არის განპირობებული, რომ დიდი ტემპებით წინ ვერ მივდივართ. გამოძიების ინტერესების გამო, სხვას ვერაფერს ვიტყვი.

რაც შეეხება მჭედლიძეს, ამ შემთხვევაში თვითონ უშიშროების თანამშრომელი იყო გარეული - როგორც გახსოვთ, იგი ნატახტართან იარაღით დააკავეს. ამ ორ ფაქტს შორეული კავშირი შეიძლება ჰქონდეს ერთმანეთთან. გააჩნია, საით წავა გამოძიება. როცა დამნაშავე ასე ვარდება, როგორც წესი, ლეგენდები ითხზვება ხოლმე. ასეთ საქმეში ჩართული პირები უცებ არ ტყდებიან, მაგრამ მან ყველაფერი მოყვა. დავინტერესდი მისი პიროვნებით და იგი ერთი უწყინარი ადამიანი აღმოჩნდა. ეს არ იყო უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსანი, როგორც წერენ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს იყო უშიშროების ერთ-ერთი რაიონული დანაყოფის კარში მდგომი ორი მცველის უფროსი. იგი მარტის თვეში სახელმწიფო დაცვის სამსახურიდან გადმოვიდა და მძღოლად დაიწყო მუშაობა. იქ პიროვნებას დაწვრილებით ამოწმებენ. როდესაც ამ ტიპის დაწესებულებებში გადაადგილდებიან, ეს პროცედურა აღარ ტარდება. თანაც, 2 წლის წინ მჭედლიძის შემოწმებაში გორის რაიონის უშიშროების რაიონული ორგანიზაცია მონაწილეობდა. სამი კვირის შემდეგ კადრების ხელმძღვანელობა მეუბნება, რომ ეს კაცი რამდენიმე წელი იბრძოდა საკუთარი სამხედრო წოდების დასადასტურებლად. ბოლოს მიაღწია და თავდაცვის მინისტრის ბრძანებით მას კაპიტნის წოდება მიენიჭა. ეჭვი შევიტანე, რომ მას ეს წოდება არაწესიერი გზით ჰქონდა მოპოვებული. და, რადგან ჩემი ეჭვი არ გადაამოწმეს, კადრების სამმართველოს უფროსიც და ადმინისტრაციის უფროსიც, რომელიც ობიექტების დაცვის სამსახურს კურირებდა, კადრების განკარგულებაში გადავიყვანე.

### რისთვის სჭირდებოდათ დაკავებული იარაღი

პირველი ვერსია, რომელსაც ვამუშავებთ, არის ის, რომ იარაღი ტერაქტის მოსაწყობად სჭირდებოდათ. ამოღებული იარაღის ტიპი აქეთკენ მიანიშნებს. მეორე ვერსიით, იარაღი მესამე ქვეყანაში გასატანად იყო განკუთვნილი და მესამე ვერსია – პანკისის მიმართულებაა. ამ საქმეს ისეთი კვალიფიკაცია აქვს, რომ მისი გამოძიება ჩვენი პირდაპირი კომპეტენცია არ არის. ჩვენ ტერაქტის და პანკისის ვერსიებზე ვმუშაობთ.

### ნარკოტიკების ტრასა საქართველოზე გადის

ტრასის რა მოგახსენოთ, მაგრამ გზა კი არის. ჩემი ინფორმაციით, პროგნოზირებად ტერიტორიაზე უფრო მეტად ერიდებიან ასეთი ტვირთის გატარებას. ისეთ ადგილებს ეტანებიან, სადაც სტაბილური სიტუაციაა, სადაც რამდენიმე ადამიანის მოსყიდვა შეიძლება. ნარკოტიკების დიდი მოცულობის მოძრაობა არ არის დაფიქსირებული. თუ რაიმე მოძრაობს, ისევ ჩვენი, შიდა ბაზრისთვის მოძრაობს.

პანკისიდან ამ ტენდენციამ ქვემო ქართლში გადაინაცვლა. აქ უფრო ადვილად აკონტროლებენ მყიდველს. სტატისტიკას თუ ნახავთ, ბოლო ხანს დაკავებულები ქვემო ქართლიდან არიან. ჩვენი მთავარი მიზანი არ არის დაჭერა. ჩვენი მიზანია, ეს არ მოხდეს.

ინგლისელებთან ერთად ვაპირებთ მარშრუტირებას, ავღანეთიდან ლონდონამდე ნარკოტრასის გაკონტროლებას.

### ოხ, ეს პიტერ შოუ
**(რატომ ემუქრება პრეზიდენტი მაინცადამაინც ხაბურძანიას...)**

ამას თავისი ბევრი მიზეზი აქვს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბოლო-ბოლო მოსწყინდა ამდენი ხმაურიანი ამბები და ამ ბოლო-ბოლოში მე აღმოვჩნდი.

ჩემს შემთხვევაში, ვფიქრობ, სხვა რამ ხდება. ბანალურია, მაგრამ არის ჯგუფი, რომელსაც ხაბურძანიას მოშორება უნდა (ჩემდა სამწუხაროდ, მაგრამ თუ საზოგადოებისთვისაც სამწუხაროა, ჩემთვის უდიდესი სტიმული იქნება).

ამ ინტრიგას შიდა სახელისუფლოს ვერ დავარქმევდი... მასში უფრო ყოფილები, კერძოდ, ძალოვანები მონაწილეობენ. ამის თქმის საშუალებას ბოლო ხანს განვითარებული მოვლენები მაძლევს. თავად განსაჯეთ - 6 წელი შოუ, მიუხედავად თავისი მძიმე საქმიანობისა, თბილისში დადიოდა, ცხოვრობდა, ერთობოდა, ფლირტიც ჰქონდა, იგი საშუალო ფიგურა იყო... წმინდა პროცესუალური თვალსაზრისით, ეს არ არის ჩვენი საქმე, რადგან შოუ ერთ-ერთი ჩვეულებრივი ბიზნესმენია. ასეთი, დაახლოებით, 10-20 ათასი უცხოელია ჩამოსული.

უშიშროების სამინისტრო უცხოელებს საბჭოთა დროს ეკონტაქტებოდა, როცა თბილისში ხუთიოდე უცხოელი ჩამოდიოდა. ჩვენი მწირი შესაძლებლობებით ამ უცხოელებს თანადგომა შევთავაზეთ, მაგრამ იუკადრისეს და უარი განაცხადეს - სპეცსამსახურებთან ურთიერთობა და მისი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა არავის სურს.

პიტერ შოუსთან დაკავშირებით, ამ ადამიანის ცხოვრების წესიდან გამომდინარე, რამდენიმე ვერსია მუშავდება და ყველა ვერსიას არსებობის უფლება აქვს: **1.** წმინდა პოლიტიკური ვერსია, მიმართული ქვეყნის იმიჯის, თუნდაც, ძალოვანების წინააღმდეგ, დესტაბილიზაციის გამოსაწვევად; **2.** მის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული: მისი ბიზნესი სხვის ხარჯზე იყო წარმატებული. ეს, იქნებ, ბანკის კანონებში დევს, მაგრამ ამის გამო მას ბევრი მტერი ჰყავდა და რადგან აქ ყოფნის ბოლო დღე იყო, გამწარებულმა ხალხმა შურიძიების მიზნით გაიტაცა და **3.** გატაცების ინსცენირება სადაზღვევო თანხების მიღების მიზნით.

ჩვენ თითქმის ყველა ვერსიაზე ვმუშაობთ, მთავარია დამკვეთის მოძებნა.

### ვინ ჩამოდის საქართველოში ფულის საშოვნელად

ბუნებრივია, ჩვენ უნდა ვამოწმებდეთ ფულის დასაბანდებლად საქართველოში ჩამოსულ ყველა ადამიანს და ამას ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახური უნდა აკეთებდეს. ის კი მხოლოდ და მხოლოდ საგადასახადო ინსპექტორის ფუნქციებს ასრულებს ("რუსთავი-2"-ის მაგალითი).

ვაპირებთ ამ ტიპის სამსახურის ჩამოყალიბებას, მაგრამ ყველაფერს ხომ ვერ ვიტყვი? ამას თავისი საშუალებები უნდა. ინტერნეტიც რომ არ გაქვს ჩართული, რა თქმა უნდა, ვერაფერს გაიგებ პიტერ შოუზე.

### ისე, პროგრესულად კი ვლაპარაკობ

ყველაზე ადვილი სათქმელია – "ყველაფერი ეს ძალიან ძნელია." ჩემი რეფორმების პროექტით, ფაქტობრივად, სამი თვით მოვედი ამ თანამდებობაზე, მერე - ექვს თვესაც გადავაცილე. მთელი ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ მიწუწუნია თანხებზე. შეიძლება, არ უნდა ვამბობდე, მაგრამ არავითარი აღჭურვილობა არ გვაქვს. გვაქვს მხოლოდ ენთუზიაზმი. ვართ ერთადერთი უწყება, რომელსაც სპეცსახსრები არ გააჩნია და წმინდად ბიუჯეტზეა. ჩვენი სამსახურისთვის მთავარი სუპერთანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობაა, რომელიც ინფორმაციის მოპოვების საშუალებას მოგვცემს.

პროგესულობას ჩემს თავს საუბარში ვატყობ, მაგრამ ხელისუფლება ზიარჭურჭელია. ან ყველაფერი ვითარდება, ან ყველაფერი ჩერდება. რაც უნდა პროგრესული იყოს ერთი ადამიანი, ის მარტო ვერაფერს გახდება. ყველა ერთმანეთთან ვართ გადაჯაჭვული. მაგრამ, ამ პირობებშიც, ოდნავ უკეთესი თუა ჩვენი სამსახური, ვიდრე გუშინ, ეს უკვე კარგია.

ამერიკის ხელისუფლება და მთავრობა რომ საქართველოს ანტიტერორისტული მუშაობისთვის ემადლიერება, ჰაერიდან არ მოდის და არც "ბესთ ეფორტი" დაწყებულა ცარიელ ადგილზე.

ერთი კურიოზი დაგვემართა... ვიღაცეებმა 10 000 დოლარი დაადგეს ქრთამი, თქვეს: ა, ბიჭებო, დახარჯეთ და ამ საქმეს თავი დაანებეთო და გაიქცნენ. ჩვენ ვერ ვამტკიცებთ, რომ ეს ფული ქრთამად დაადო კონკრეტულმა პირმა. უკვე რამდენი ხანია, არ ვიცი, რა ვუყო ამ ფულს. ფინანსთა სამინისტროს ვწერ, რომ დახარჯვის უფლება მომცეს და ვართ ასე მიწერ-მოწერაში.

ვფიქრობ, რომ ძუნწი ორჯერ იხდის. თუ ჩვენ საჭირო დაფინანსება



ვალერი ხაბურძანია
ლევან ხერხეულიძის ფოტო

არ მივეცით სამართალდამცავებს, ეს ყველაფერი უკან მოგვიბრუნდება.

### უსაფრთხოების მთავარი სპეციფიკა სახელმწიფოს უსაფრთხოებაა და არა ხელისუფლების

ახლაც ასე ვფიქრობ. შეიძლება, ეს ისეთი მოსაზრებაა, რომ არ მეთქვა, პირადად ჩემთვის აჯობებდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ რადგან მინისტრი ვარ, უნდა ვთქვა. ჩემს თანამდებობაზე მყოფი პირი თავისუფალი უნდა იყოს ძალაუფლებითი კონიუნქტურისგან. თუ ეს ასე არ არის, ხელისუფლებისთვის კრახით დამთავრდება. საზოგადოებას, თუნდაც უშიშროების მინისტრი იყო, არ უნდა დაუმალო ის, რისი დამალვაც არ არის საჭირო და არც შეიძლება.

### სად წაიღეს აფხაზებმა ურანი

დარწმუნებული ვარ, რუსები აფხაზებს სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში არსებულ გამდიდრებულ ურანს არ დაუტოვებდნენ და აუცილებლად გაიტანდნენ იქიდან. იქ ჩეჩნები მოძრაობენ და რუსები თავისთვის ამ საფრთხეს არ დატოვებდნენ.

### საიდან ხვდებიან არაბები პანკისში

ჩამოვა თბილისში, მარშრუტკით პანკისში გადავა, რა პრობლემაა... თქვენც თავისუფლად შეხვალთ.

რეალურად რომ ვთქვათ, რამდენიმე არაბის გარდა არავინ დამატებიათ. ეს იყო ტალღა – ჩრდილოელი მეზობლისა და რამდენიმე ადგილობრივი ჩინოვნიკის ხელშეწყობით, ჩეჩნეთის მეორე ომის დროს გაუხსნეს კორიდორი და აქ გადმოვიდნენ. ეს ხალხი დაიხატა საწყალ, დევნილ, დაჩაგრულ ადამიანებად. მათთან ერთად კი ჯანსაღი, საღ-სალამათი ბოევიკები შემოვიდნენ, რომლებიც მთებში მიდი-მოდიან. ბოევიკი რომ იარაღს დადებს, ის ლტოლვილად იქცევა.

როცა შეიარაღებული ხალხი საზღვარზე გადადი-გადმოდის, ეს პრობლემაა, მაგრამ იმ ქვეყანამ, საითაც მიდიან, უნდა მიხედოს თავის საზღვარს. ეს მისი პრობლემაა და ამისთვის მას მეტი საშუალებები აქვს.

### ლუსტრაციის კანონზე

მზად ვარ, ლუსტრაციის კანონი მოვიღოთ, თუ ეს ხალხს სჭირდება. მაგრამ ეს არ იქნება ის, რასაც საზოგადოება ელის.

იმ ხალხმა, ვისაც ეს კანონი უნდა შეხებოდა, თავისი საქმე უკვე გააკეთა. არ არსებობს არქივები, ის სმოლენსკშია და მათი მოპოვება თითქმის შეუძლებელია. ძალზე რთულია იმ ხალხის შემოწმება, რომლებიც, სხვათა შორის, არც ისე მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ. ლუსტრაციის კანონის მთავარი აზრი ის არის, რომ ერთნაირი სიმკაცრით შეეხოს აგენტებსაც და თამნამშრომლებსაც, რომლებიც მაშინ მუშაობდნენ. ეს პერიოდი გავიარეთ. ის თაობა შეიცვალა...

იშვიათად, რომ სპეცსამსახურის უფროსი ამას ამბობდეს, მაგრამ კი ბატონო, მივიღოთ. წინასწარ ვამბობ, შედეგი არ იქნება.

### გახდება თუ არა მოქკავშირის წევრი

უშიშროების, პოლიციის და სამხედრო ძალების პირადი შემადგენლობა არ შეიძლება, იყოს პარტიის წევრი - ეს პირდაპირ კონსტიტუციაში წერია. მოქალაქეთა კავშირის ყრილობას არ დავსწრებივარ. მაინტერესებდა პრეზიდენტის გამოსვლა, მოვისმინე და წამოვედი.

### დაამთავრებს თუ არა ცუდად

არ მინდა, პათეტიკურად გამომივიდეს, მაგრამ, რეალურად ვგრძნობ - საერთოდ, ცუდი რაღაც მოდის. ჩემთვის კი არ უნდა დამთავრდეს ცუდად, არამედ, ზოგადად არ უნდა დამთავრდეს არასწორად და უსამართლოდ.

ჩემი მოხსნის რეალური საბაბი არ არსებობს, თუმცა აგორების მეთოდი, ალბათ, თავის საქმეს მაინც გააკეთებს. ძალიან აქტიურად შევეცდები, ხელი შევუშალო ამ კამპანიას...

# "BEST EFFORT 2002" - კიდევ ერთი ლეგენდის დასასრული


კობა ლიკლიკაძე

"რადიო თავისუფლება"

სპეციალურად გაზეთ "24 საათისათვის"


***28 ივნისს ვაზიანის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე საზეიმო ვითარებაში დაიხურა ნატოს მრავალეროვნული სამშვიდობო სწავლება "კოოფერეითივ ბესტ ეფორტ 2002", რომელშიც 15 სახელმწიფოს 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი ღებულობდა მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ "ბესტ ეფორტი" კარგად დადგმულ სამხედრო თამაშებს უფრო წააგავდა, იგი მართლაც საუკეთესო ძალისხმევა აღმოჩნდა, რათა ვირტუალური სამშვიდობო მისიით იმ ქვეყნების ჯარისკაცებიც შეეკავშირებინა, რომლებიც რეალობაში ერთმანეთთან იშვიათად პოულობენ საერთო ენას.***

28 ივნისს ვაზიანში საზეიმო ვითარებაში დაეშვა ნატოსა და 15 სახელმწიფოს დროშები, დაიშალა და სპეციალურ კონტეინერებში ჩაიტვირთა საველე ბანაკი, სამხედრო აღჭურვილობა და საბრძოლო იარაღი, რომელიც სწავლების განმავლობაში მხოლოდ ერთი მიმართულებით - წარმოსახული მოწინააღმდეგისკენ ისროდა.

რამდენიმე თვე დასჭირდება, სანამ ნატოს სამხედრო ექსპერტები, ყველა პარამეტრის მიხედვით, შეაფასებენ სწავლებაში მონაწილე სამხედრო ქვედანაყოფების მოქმედებას, მაგრამ გარკვეული დასკვნების გაკეთება, ალბათ, დღესვე შეიძლება.

ნატოს "მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამა, რომელსაც სულ მალე ათი წელი შეუსრულდება, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრ ისეთ ქვეყანებსაც კი აძლევს უნიკალური სამხედრო გამოცდილების შეძენის შესაძლებლობას, რომლებსაც, პოლიტიკური თუ ტერიტორიული პრეტენზიების გამო, ერთმანეთთან პირდაპირი სამხედრო კავშირები არ გააჩნიათ. ძალიან საინტერესოა, როდესაც სომეხი და აზერბაიჯანელი, ან, ვთქვათ, თურქი და ბერძენი სამხედროები მშვიდობის დამცველების როლში გვევლინებიან ისეთ წარმოსახულ კონფლიქტში, რომელიც ძალზე წააგავს მათ სახელმწიფოებს შორის რეალურად არსებულს.

"ბესტ ეფორტ 2002"-ც ხომ მხოლოდ იმიტომ იქნა ჩაფიქრებული, რათა სხვადასხვა ქვეყნის ჯარისკაცებს სამშვიდობო საბრძოლო ნათლობა მიეღოთ და, რეალურთან მიახლოებულ ვითარებაში, თანამშრომლობა, მოკონფლიქტე მხარეების დაშორიშორება და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა ესწავლათ. ამ გამოცდილების გამოყენების თაობაზე, ნატოს სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულების სარდალი, გენერალი ოქტარ ატამანი ამბობს: ყველა ქვეყანა, რომელიც ასეთ სამხედრო გამოცდილებას მიიღებს, შემდგომში თავად გადაწყვეტს, თუ როგორ გამოიყენოს ეს სამშვიდობო კონტინგენტი.



**"პირველ რიგში, ასეთი სწავლება ერთმანეთთან დაახლოებისა და ერთმანეთის სამხედრო გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას იძლევა. საერთაშორისო წვრთნები სამხედროებს ნატოს სტანდარტებთან და პროცედურებთან დაახლოების საუკეთესო საშუალებაა. ხოლო მათი ეს უნარი და გამოცდილება, შესაძლებელია, გამოყენებული იქნას როგორც სამშვიდობო საქმიანობისას, ისე ნებისმიერი სამხედრო ამოცანის შესასრულებლად," - განაცხადა გენერალმა ოქტარ ატამანმა**.

მიუხედავად იმისა, რომ "ბესტ ეფორტი" საქართველოს მასშტაბებითაც კი მცირე ზომის ღონისძიება გახლდათ, მის მნიშვნელობაზე ბევრი დაიწერა. ალბათ იმიტომ, რომ საქართველოში უყვართ ლეგენდები, განსაკუთრებით ისეთი, როგორიც სწავლების სცენარით იყო წარმოდგენილი.

შიდა კონფლიქტით დაუძლურებულ სახელმწიფოს, რომელსაც აღარ შერჩა რესურსი, რათა საკუთარი ძალებით გაუმკლავდეს ძალადობას, ტერაქტებს და ტერიტორიის რღვევას, მხსნელად მრავალეროვნული კონტინგენტი ევლინება. ცისფერჩაფხუტიანები ქმნიან სამშვიდობო პლაცდარმს, აგებენ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებს, ეწევიან პატრულირებას, ეხმარებიან დაზარალებულ მოსახლეობას, ებრძვიან კრიმინალურ დაჯგუფებებს და პროცესი სამშვიდობო კალაპოტში გადაჰყავთ. და ეს ლეგენდა, სახელწოდებით "ბესტ ეფორტ 2002", რომლის სრულ ანტიპოდსაც აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაცია წარმოადგენს, საქართველოში დამთავრდა. ამიტომაც სრულიად არ არის გასაკვირი, რომ სწავლების საზეიმო დახურვის ცერემონიას ერთგვარი სევდაც ახლდა.

უცხოეთი

## ალიევი 2008 წლამდე დარჩება

ამის შესახებ განუცხადა აზერბაიჯანულ მილი მეჯლისს პარლამენტის წევრმა მუსა მუსაევმა, რომელიც მმართველი პარტიის, "იენი აზერბაიჯანის" წარმომადგენელია. ამის შემდეგ კი პრეზიდენტი ძალაუფლებას თავის ვაჟს, ილჰამს გადასცემს.

რაც შეეხება საკანონმდებლო ხელისუფლებას, აზერბაიჯანში 24 აგვისტოს გაიმართება რეფერენდუმი პარლამენტის არჩევნების წესში ცვლილების შეტანის შესახებ. რეფერენდუმის შემდეგ მილი მეჯლისის წევრებს მხოლოდ მაჟორიტარული წესით აირჩევენ. ამ პროექტმა ოპოზიციის სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. მიზეზი ნათელია, მაჟორიტარული არჩევნები ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების არსებობას აზრს უკარგავს. მაგრამ მუსაევმა საპარლამენტო ოპოზიციაც დაამშვიდა, თუ კარგად მოიქცევით, ისევ აგირჩევთო.

## რა ჯარი უნდა შექმნა 127 მილიონად?

აზერბაიჯანელი მიმომხილველების აზრით, სომხური მხარის შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ აზერბაიჯანი თურქეთიდან იარაღს ყიდულობს და თავისი არმიის ნატო-ს სტადანრტებთან დაახლოებას აპირებს, გაზვიადებულია. აბა, რა ჯარი უნდა შექმნა 127-მილიონიანი თავდაცვითი ბიუჯეტით? - კითხულობენ ისინი. როგორც ჩანს, ისინი კარგად არ იცნობენ ქართველი კოლეგების გამოცდილებას, რომლებიც იმავე მიზნის მიღწევას წელიწადში, დაახლოებით, 16 მილიონი დოლარით აპირებენ.

ომის შემთხვევაში აზერბაიჯანი დაუყოვნებლივ შეძლებს 125-165 ათასი კაცის გამოყვანას, ამას ემატება მნიშვნელოვანი სარეზერვო ძალებიც.

აზერბაიჯანი და სომხეთი მუდმივად ადანაშაულებენ ერთმანეთს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების საფლანგო ლიმიტების დარღვევაში. შეთანხმების თანახმად (ეს ის შეთანხმებაა, რომელიც რუსეთს საქართველოდან ბაზების გაყვანას ავალდებულებს), ორივე ქვეყანა ვალდებულია, შეზღუდოს მის ტერიტორიაზე არსებული გარკვეული სახის შეიარაღება, მათ შორის, ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, სამხედრო თვითმფინავები, შვეულმფრენები და ა.შ.

აზერბაიჯანული მხარე დარწმუნებულია, რომ სომხეთს გაცილებით მეტი შეიარაღება აქვს, ვიდრე შეთანხმებითაა გათვალისწინებული. სომხეთმა ბოლო წლებში რუსეთისაგან მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების შეიარაღება მიიღო, ამას ემატება ის იარაღი და აღჭურვილობა, რომელიც რუსეთს სომხეთში საქართველოდან გადააქვს, რაც, სხვათა შორის, შეთანხმების დარღვევას წარმოადგენს. სომხეთი ჭარბ შეიარაღებას მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე მალავს, სადაც ეუთო-ს ინსპექტორები ვერ შედიან, აცხადებს აზერბაიჯანი. გარდა ამისა, გიუმრის სამხედრო ბაზაზე განთავსებული შეიარაღება, რომელიც ფორმალურად რუსეთს ეკუთვნის, საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადაეცემა სომხეთს, ამტკიცებენ ისინი.

თავის მხრივ, სომხეთიც ამტკიცებს, რომ აზერბაიჯანსაც აქვს ზედმეტი შეიარაღება, რომელიც ნაწილობრივ რუსეთიდან, ნაწილობრივ თურქეთიდან არის შეძენილი. გარდა ამისა, თურქეთის დახმარებით აზერბაიჯანმა, ფაქტობრივად, გადაჭრა ოფიცერთა მომზადების პრობლემა. თურქულ სამხედრო სასწავლებლებში ასეულობით აზერბაიჯანელი იღებს უმაღლეს სამხედრო განათლებას. თანაც, თურქული სამხედრო სასწავლებლების ღირსებაში ეჭვის შეტანა ნამდვილად არ ღირს, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ამ ქვეყნის არმიის სამხედრო მზადყოფნის დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში.

## „ფრთხილად, ტონი, მაგ კაცს ხელები სისხლში აქვს გასვრილი"

"ტონი" – ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი ტონი ბლერია, "ის კაცი" – რუსეთის პრეზიდენტი პუტინი, ხოლო გაფრთხილების ავტორი – ბრიტანული გაზეთი "ობზერვერი." მაშინ, როდესაც ეს გაფრთხილება გაისმა, იგი ყურად არავინ იღო, რადგან დასავლელ ლიდერებს სჭირდებოდათ რუსეთის დაყოლიება ნატო-ს გაფართოებაზე, რაკეტსაწინაამდეგო თავდაცვის ხელშეკრულების ანულირებაზე, ანტი-ტერორისტულ კამპანიაში ამ ქვეყნის ჩართვაზე, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ამერიკელების შესვლაზე და ა.შ.

ჩეჩნეთის საკითხი მაშინ დღის წესრიგიდან, ფაქტობრივად, მოიხსნა. ისე ჩანდა, რომ რუსეთმა შეძლო დასავლეთის დარწმუნება იმაში, რომ ჩეჩნეთში იგი საერთაშორისო ტერორიზმს ებრძოდა. ავტორიტეტულ ჟურნალ "ინტერნეშენენალ სეკიურიტის" ცნობით, გასულ ზამთარს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, რიჩარდ არმიტიჯმა ოფიციალურად სთხოვა "რადიო თავისუფლებას," ჩეჩნურ ენაზე მაუწყებლობა არ დაეწყო. პუტინის მრავალრიცხოვან უცხოურ ვოიაჟებში ამ საკითხს თითქმის არავინ ახსენებდა.

ამჯერად, როგორც ჩანს, ვითარება იცვლება. თუ რუსეთს მართლა სურს დასავლური საზოგადოების წევრად და არა დროებით მოკავშირედ ქცევა, მას მოუწევს იმავე წესებით თამაში, რომლითაც დასავლეთი თამაშობს. ჩეჩნეთის საომარი კამპანია კი ამ ჩარჩოში არაფრით არ ჯდება. როგორც ჩანს, დასავლურ მასმედიას კიდევ ერთხელ მოუწევს რუსეთისათვის ამის ახსნა. რაც შეეხება იმ არგუმენტს, რომ რუსეთი და ამერიკა ერთ საერთო სენს, საერთაშორისო ტერორიზმს ებრძვის, იგი თავიდანვე ნაკლებ დამაჯერებელი იყო. ერთ-ერთი მაღალი რანგის ამერიკელი ოფიციალური პირის თქმით, ამერიკა სპეციფიკურ საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებს ებრძვის და არაფერი ესაქმება ისეთ ჯგუფებთან, როგორებიცაა "ეტა" ესპანეთში, "ირა" ირლანდიაში ან ჩეჩნური დაჯგუფებები ჩრდილოეთ კავკასიაში.

28-29 ივნისს დასავლური პრესის ისეთმა ფლაგმანებმა, როგორებიცაა "ვაშინგტონ პოსტი", "უოლ სტრიტ ჯერნალი" და "გარდიანი," ერთხმად გაილაშქრეს ჩეჩნეთში, და არა მარტო იქ, ადამიანის უფლებათა საკითხებში არსებული სავალალო მდგომარეობის წინააღმდეგ. 29 ივნისის "ვაშინგტონ პოსტში" დეტალურადაა ჩამოთვლილი წამების ის არაადამიანური ფორმები, რომლებიც რუსმა ჯარისკაცებმა გამოიყენეს გროზნოს სიახლოვეს მდებარე ჩეჩნურ სოფელ მესკერ იურტში განხორციელებული "ზაჩისტკის" დროს. დასავლურ პრესაში განსაკუთრებული პროტესტი გამოიწვია პოლკოვნიკ ბუდანოვის გამართლებამ, რომელსაც მცირეწლოვანი ჩეჩენი გოგონას გაუპატიურებასა და მკვლელობაში ედებოდა ბრალი. არათუ დასავლური პრესა, ჩეჩნეთის ომის წინააღმდეგ რუსეთის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი, ივან რიბკინიც კი გამოვიდა, რომელმაც ამის თაობაზე ღია წერილით მიმართა პრეზიდენტ პუტინს.

საერთო უკმაყოფილებას კიდევ უფრო ამწვავებს მასმედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე სახელმწიფო კონტროლის განუხრელი ზრდა. ამ მიზნისათვის სულ ახლახან მთავრობამ "ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონიც" გამოიყენა, რომელიც უფლებას აძლევს ხელისუფლებას, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე გააუქმოს ნებისმიერი პოლიტიკური ან არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც ექსტრემიზმსა და ფაშიზმში ედება ბრალი. ამან ნამდვილი პანიკა გამოიწვია ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობოებში, რომლებიც ფიქრობენ, რომ, პირველ რიგში, დახურვა მათ ემუქრებათ. როგორც იტალიაში ამბობდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ: ქვეყანაში ორნაირი სახის ფაშისტები არიან - ფაშისტები და ანტიფაშისტები.

## საზღვაო ბრძოლა კორეაში

გუშინ კინაღამ გადაიდო მატჩი მესამე ადგილისათვის თურქეთსა და კორეას შორის. ამის მიზეზი ის საზღვაო ინციდენტი იყო, რომელმაც სამხრეთ კორეის შეიარაღებული ძალები აიძულა, სრულ საბრძოლო მზადყოფნაზე გადასულიყვნენ. ორი კორეის გამყოფი საზღვარი, დაახლოებით, დილის 10საათსა და 25 წუთზე დაარღვია ორმა ჩრდილოურმა სამხედრო გემმა. ისინი, სამხრეთის ტერიტორიულ წყლებში მდებარე მდიდარი სარეწებისაკენ, სათევზაო გემების მთელ ფლოტილიას მიაცილებდნენ. მათ გზა გადაუღობა ორმა სამხრეთულმა სამხედრო გემმა და ჩრდილოური გემების გაძევება სცადა. იმის შესახებ, თუ ვინ გახსნა პირველმა ცეცხლი, ბუნებრივია, მხარეები სხვადასხვა ინფორმაციას ავრცელებენ და ერთმანეთს ადანაშაულებენ. საზღვაო ბრძოლის შემდეგ, ორი გემი ჩაიძირა, ერთი ჩრდილოელების და ერთი სამხრეთელების. სამხრეთის მხრიდან 4 მეზღვაური დაიღუპა და 22 დაიჭრა, ჩრდილოეთის მხრიდან, დაახლოებით, 30-ია დაღუპული.

1950-1953 წლების ომის შემდეგ, როცა კორეა ორად გაიყო, ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება ჯერაც არ არის ხელმოწერილი. 37-ე პარალელის გასწვრივ მდებარე გამყოფი ხაზი - მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე "ცხელ" საზღვარს წარმოადგენს, თუმცა, სამხრეთ კორეის ახლანდელი პრეზიდენტის კიმ დაე ჯუნის ხელისუფლებაში მოსვლისა და შემრიგებლური (ე.წ. მზის ნათების) პოლიტიკის გატარების შემდეგ, დაძაბულობა შედარებით შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 60-იან წლებში ჩრდილოეთ კორეა უფრო განვითარებული იყო, ვიდრე სამხრეთი. მას შემდეგ ჩრდილოეთმა თავის მთავარ მიზნად კომუნიზმის აშენება და მის დასაცავად მილიონიანი არმიის შექმნა განიზრახა და შექმნა კიდეც. ხოლო სამხრეთმა, რომელსაც ამერიკული სამხედრო ძლიერება იცავდა, ეკონომიკის განვითარებას მოკიდა ხელი. შედეგად, დღეს სამხრეთ კორეა აზიის ერთ-ერთი უმდიდრესი სახელმწიფოა, ჩრდილოეთი კი მუდმივად შიმშილობს.

სამართალი

## „სკოტლენდ იარდი" კომენტარს გვპირდება



ინგა ალავიძე

*ბრიტანელი კრიმინალისტები უკვე სამშობლოში არიან. "სკოტლენდ იარდის" თანამშრომელთა მიერ ინგლისში წაღებულ, პიტერ შოუს გატაცების თაობაზე აღძრულ საქმეს, ახლა ბრიტანელი კანონდამცველები სწავლობენ.*

"სკოტლენდ იარდის" წამყვანი კრიმინალისტები ისე წავიდნენ, რომ თანამემამულის გატაცების ფაქტზე აღძრულ საქმესთან დაკავშირებით, ანუ ქართველ კოლეგათა საქმიანობის შესახებ, კომენტარი საქართველოში არ გაუკეთებიათ.

დაბრუნდებიან თუ არა ბრიტანელი კრიმინალისტები საქართველოში და გააგრძელებენ თუ არა გატაცებული თანამემამულის საქმის მონიტორინგს, ჯერჯერობით, არ ვიცით. რატომ წავიდნენ ინგლისელი კრიმინალისტები ასე მოულოდნელად - ესეც უცნობია. შსს აცხადებს, რომ ბრიტანელები გეგმის მიხედვით, ხუთშაბათს გაემგზავრნენ.

ინფორმაციის მიღება უშუალოდ ბრიტანელებისგან ვცადეთ. "24 საათი" დაუკავშირდა "სკოტლენდ იარდის" პრესოფისს. **"თანამშრომლები ჩამოვიდნენ და ჩამოიტანეს საქმის მასალები, რომელთა შესწავლაც ახლა მიმდინარეობს. საერთოდ, მსგავსი ოპერაციების შესახებ დეტალურ ინფორმაციებს არ ვიძლევით, მაგრამ დაგვიკავშირდით ორი-სამი დღის შემდეგ და შემოგთავაზებთ იმ ზედამხედველი კრიმინალისტის კომენტარს, რომელიც საქმეს სწავლობს. ოღონდ ეს იქნება უკვე არსებული საქმის შეფასება,"** - გვითხრა "სკოტლენდ იარდის" პრესოფისის ხელმძღვანელმა.

სხვათა შორის, ქართველ სამართალდამცველებს უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობა რამდენიმე წლის წინათაც მოუხდათ, როცა CIA-ს მაღალჩინოსნის, ფრედ ვუდროფის მკვლელობის საქმის შესასწავლად საქართველოში FBI-ის თანამშრომლები ჩამოვიდნენ. მაშინაც ამერიკელმა გამომძიებლებმა საქართველოში მცირე ხანი დაჰყვეს, საქმის მასალები სამშობლოში წაიღეს და ისე წავიდნენ, რომ კომენტარი არ გაუკეთებიათ. მოგვიანებით, ვუდროფის საქმის გამოძიებას აშშ-მ უარყოფითი შეფასება მისცა.

## ვლადიკავკაზში ცნობილი კრიმინალები გაასამართლეს

ჩრდილოეთ ოსეთის სასამართლომ კრიმინალური დაჯგუფების წევრებს მძიმე სასჯელები არგუნა. ჯგუფი 1996-2000 წლებში საქმიანობდა, ამ პერიოდში მათ 10 მკვლელობა და 9 ყაჩაღობა ჩაიდინეს.

10 განსასჯელიდან ერთი სასამართლომ, მტკიცებულებების არარსებობის გამო, გაამართლა და დარბაზიდან გაათავისუფლა.

სასამართლომ 4-წლიანი პირობა მიუსაჯა დაჯგუფების ერთადერთ წევრ ქალს, რომელიც პატიმრობიდან ამნისტიის საფუძველზე ასევე დარბაზიდან გაათავისუფლეს.

სასამართლო პროცესზე 87 დაზარალებული გამოცხადდა.

დაჯგუფების ლიდერმა, 54 წლის ივანე ხუბულოვმა, რომელიც ბრალდებული იყო 7 მკვლელობაში, მათ შორის, 4 წლის ბავშვის მკვლელობაშიც, რამდენიმე დღის წინ ციხის საკანში თავი მოიკლა.

სხვათა შორის, ხუბულოვის ჯგუფის სახელი ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვისაც კარგადაა ცნობილი. იგი შავი სამყაროს ავტორიტეტთან, "მარეკას" ჯგუფთან ერთად, სამაჩაბლოშიც აქტიურ კრიმინალურ საქმიანობას ეწეოდა.

"მარეკა", რომელსაც ქართველი სამართალდამცველები უკვე ორი წელია ეძებენ, გასულ წელს სწორედ ვლადიკავკაზელმა სამართალდამცველებმა გააპარეს წინასწარი დაკავების საკნიდან. მართალია, ძებნილი დააკავეს ვლადიკავკაზში, მაგრამ მისი საქართველოში ექსტრადიცია ვერ მოხერხდა.

"მარეკა" 20-მდე მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. მათ შორის, ცნობილი ქართველი მოჭიდავის გიორგი თენაძის მკვლელობასა და ძიუდოისტ კობა კურტანიძის გატაცებაში. კობა კურტანიძე სწორედ ამ გატაცების შედეგად მიღებული ტრავმების გამო გარდაიცვალა.

### მოსამართლე კრიტიკაზე პასუხის გაცემით არ უნდა იყოს დაკავებული

**"მედია-ნიუსი".** „თავისუფალი სიტყვა და აზრი დემოკრატიული საზოგადოების მონაპოვარია, ამიტომ არ გამაჩნია აგრესია ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის ლევან ბერძენიშვილის, თავისუფლების ინსტიტუტისა თუ სხვების მიმართ, ვინც სასამართლოს აკრიტიკებს," — განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ მოსამართლეთა მესამე კონფერენციაზე და ამით გამოხატა ბოლო პერიოდში სასამართლო ხელისუფლების კრიტიკას. მისი თქმით, კრიტიკა არასოდეს არის სასიამოვნო, თუმცა, სასამართლო ხელისუფლებით უკმაყოფილო ადამიანებს პასუხი არ უგდა მოვთხოვოთ.

„მოსამართლეს თავისი საქმე აქვს. ის ემსახურება კანონს და კრიტიკაზე პასუხის გაცემით არ უნდა იყოს დაკავებული", — აღნიშნა ჭანტურიამ. მისივე თქმით, საზოგადოებრივი აზრის მიხედვით სამართალწარმოება ლინჩის სამართალს ნიშნავს და დემოკრატიული სახელმწიფოსაგან შორს დგას. „ღმერთმა ნუ ქნას, ლინჩის წესი საქართველოში დამკვიდრდეს", — თქვა ჭანტურიამ.

### მკვლელები მიიმალნენ

საგარეჯოელ გიორგი ელერდაშვილს ბოროტმოქმედებმა პირდაპირ ქუჩაში ესროლეს. ის შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. მკვლელები გაიქცნენ. საგარეჯოს რაიონის პროკურატურა ჯერ მხოლოდ იმის თქმის უფლებას აძლევს თავს, რომ სროლა ავტომატური იარაღიდან არ განხორციელებულა, თუმცა იარაღის ტიპის დაკონკრეტებას გამოძიების ამ ეტაპზე თავს არიდებს. სამართალდამცველები ასევე თავს იკავებენ მკვლელობის მოტივებზე საუბრისგან. თუმცა, როგორც შევიტყვეთ, მკვლელობას, რამდენიმე დღით ადრე, გარკვეული ექსცესები უძღოდა წინ.

### საკრებულოს ნაცვლად - საკანში

გორში აწ უკვე ყოფილი დეპუტატობის კანდიდატი პოლიციამ დააკავა. დავით ტერაშვილს სამართალდამცველები არჩევნების დღიდან -- 2 ივნისიდან ეძებენ.

34 წლის ტერაშვილი გორის საკრებულოს წევრობას აპირებდა და იმდენად მოინდომა, რომ საარჩევნო ყუთი გაიტაცა და მდინარე ლიახვში გადააგდო. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ტერაშვილი, რა თქმა უნდა, შედეგების გადათვლას არ დალოდებია და მიიმალა. თუმცა, მერე ბელოთის საარჩევნო ოლქში გამოჩენილა და იქაც ხელახალი არჩევნების ჩაშლით იმუქრებოდა.

ტერაშვილს ახსნა-განმარტების მიცემა ახლა უკვე პოლიციისთვის მოუწევს. სამართალდამცველები მას ბრალს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ჩაშლის მცდელობისთვის წაუყენებენ.

ეკონომიკა

## „მეტრომედია" საქართველოსა და რუსეთს ტოვებს

ამერიკული კომპანია Metromedia International Group-ი საქართველოსა და რუსეთის კომპანიებში კუთვნილი წილის გაყიდვას აპირებს. ამ ნაბიჯს კომპანიის წარმომადგენლები იმით ასაბუთებენ, რომ შეიცვალა Metromedia-ს სტრატეგია. კომპანიის აქტივები 18 თვის მანძილზე გაიყიდება. საქართველოში Metromedia წილს ფლობს შპს "საქართველოს ტელეკომში", "პეიჯინგ ერთში", "აიეტში", "მაგთიკომსა" და რადიოკომპანიებში - "ფორტუნა" და "ფორტუნა პლუსი".

**"ჩვენი ახალი სტრატეგია მიზნად ისახავს კომპანიის ვალების რესტრუქტურიზაციის პროცესის დაჩქარებას. ამ სტრატეგიის შედეგები უკვე არის, მაგალითად, Alma-TV-ის გაყიდვის შემდეგ, ჩვენ სოლიდური თანხა მივიღეთ. მე შემიძლია განვაცხადო, რომ ამჟამად ჩვენს ბალანსზე, დაახლოებით, 18,1 მილიონი აშშ დოლარია. ასე რომ, კომპანია კვლავ გააგრძელებს თავისი წილების გაყიდვას,"** - განაცხადა "მეტრომედიის" წარმომადგენელმა ბრაზელმა.

სატელეკომუნიკაციო კომპანია Metromedia Fiber Network-მა ოფიციალურად განაცხადა გაკოტრების შესახებ. აშშ-ს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიას ეძლევა გარკვეული დრო ვალების რესტრუქტურიზაციისათვის. ოფიციალური მონაცემებით, 28 თებერვლისათვის "მეტრომედიის" ვალები შეადგენდა 3,3 მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო აქტივები – 7 მილიარდ აშშ დოლარს. აშშ-ს სატელეკომუნიკაციო სისტემაში, Global Crossing-ის შემდეგ, "მეტრომედია" მეორე უმსხვილესი კომპანიაა, რომელიც გაკოტრდა. Metromedia-ს კრედიტორების სიაში არიან ისეთი დიდი კომპანიები, როგორებიცაა: Bank of New York, IBJ Schroeder Bank and Co და Verizon Communications.

Metromedia აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში წარმოდგენილი იყო შვილობილი კომპანიებით Metromedia Fiber და AboveNet Communications, აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში კი - Metromedia International Group (MMG)-ით და Metromedia International Telecommunications Group (MITI)-ით. სულ, Metromedia-ს 54 კომპანია მსოფლიოს 15 ქვეყანაში მუშაობს.

## შეიქმნება ოდესა-ბროდის ნავთობსადენის საერთაშორისო კონსორციუმი

**"პრაიმ-ნიუსი".** უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა კასპიის და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს სთავაზობს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონსორციუმის შექმნაში, რომელიც უზრუნველყოფს ნავთობსადენის ოდესა-ბროდის ეფექტურ ფუნქციონირებას.

ასეთი განცხადებით ლეონიდ კუჩმა სტამბულში გამოვიდა საერთაშორისო კონფერენციაზე "თქმულება სამი ზღვის შესახებ: ევრაზია, ახლო აღმოსავლეთი და ენერგიის ბაზრების ძიება", - აცნობეს "პრაიმ-ნიუსს" საქართველოში უკრაინის საელჩოში.

კუჩმას თქმით, უკრაინა ამ ქვეყნებს სთავაზობს ოდესა-ბროდის ნავთობსადენის ერთობლივ ექსპლუატაციას, რომელიც განხილული უნდა იყოს უფრო ფართო პროექტის - ბაქო-სუფსა-ოდესა-ბროდის კუთხით.

ლეონიდ კუჩმამ აღნიშნა, რომ უკრაინამ უკვე დაასრულა ნავთობტერმინალის პირველი რიგის მშენებლობა ოდესასთან და ოდესა-ბროდის შემაერთებელი ნავთობსადენი, პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებზე გასასვლელით.

მისი თქმით, კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების ამ მარშრუტის მთავარი უპირატესობა არის მისი მზადყოფნის ხარისხი, რამდენადაც ყველა დანარჩენი პროექტები მხოლოდ დაგეგმარების სტადიაში არიან.

"კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების მარშრუტები - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ოდესა-ბროდი არ არიან კონკურენტები - ისინი ავსებენ ერთმანეთს, რამდენადაც გათვალისწინებულია მომხმარებელზე ევროპის სხვადასხვა ნაწილებში", - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

სტამბულში გამართული კონფერენციის მუშაობაში ასევე მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა, თურქეთის პრეზიდენტმა ახმედ ნეჯდეთ სეზერმა და რუმინეთის პრეზიდენტმა იონ ილიესკუმ.

## ამერიკაში საეჭვო კომპანიების სია გამოქვეყნდა

ამერიკის შეერთებული შტატების ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბაზრების კომისიამ გამოაქვეყნა იმ კომპანიათა სია, რომელთა მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორებმა და ფინანსურმა მენეჯერებმა კომისიას ფიცის ქვეშ უნდა დაუდასტურონ წარდგენილი კვარტალური და წლიური საფინანსო ანგარიშების სისწორე. ამით ისინი დაადასტურებენ, რომ მათი კომპანიების ფინანსური ანგარიშები არ არის გაყალბებული.

კომისიის ახალ წესებს დაექვემდებარებიან კომპანიები, რომელთა წლიური მოგებაც 1,2 მილიარდ დოლარს აჭარბებს. კომისიის მონაცემებით, ამჟამად ამერიკაში ასეთი 945 კომპანიაა. მათ შორის არიან: AOL Time Warner, Adobe, Advanced Micro Devices, Amazon.com, Amgen, Apple, Applied Materials და AT&T.

### ფოთის ნავმისადგომები უცხოელ ინვესტორებს იჯარით გადაეცემა

**"მედია-ნიუსი".** ფოთის ნავმისადგომების იჯარით გაცემის სატენდერო დოკუმენტაცია არასრულყოფილია, - აცნობეს მედია-ნიუსს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში, სადაც უკვე დასრულდა ამ დოკუმენტაციის განხილვა და მომზადდა შენიშვნები.

ამ შენიშვნების გათვალისწინებით და დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, ფოთის რამდენიმე ნავმისადგომი უკვე მიმდინარე წლის მეორე ნახევარში გრძელვადიანი იჯარით უცხოელ ინვესტორებს გადაეცემა.

### წინადადებებს თურქული მხარე სამ თვეში წარადგენს

**"მედია-ნიუსი".** თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის პროექტი განიხილეს თურქეთში გამართულ სამმხრივ შეხვედრაზე, რომელშიც საქართველოს, თურქეთის და აზერბაიჯანის ტრანსპორტის სამინისტროები მონაწილეობდნენ.

როგორც "მედია-ნიუსს" შპს „საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის მოადგილემ თორნიკე კუპატაძემ აცნობა, ამ პროექტის თანახმად, უნდა მოხდეს თბილისი-ახალქალაქის სარკინიგზო მონაკვეთის რესტავრაცია და აშენდეს 38-კილომეტრიანი ახალი ხაზი თურქეთის საზღვრამდე.

თურქეთის ტერიტორიაზე, ქალაქ ყარსამდე კი აშენდება 98-კილომეტრიანი სარკინიგზო ხაზი.

შეხვედრაზე თურქული მხარე საქართველოს წინადადებებს გაეცნო. ამ პროექტთან დაკავშირებით საპასუხო წინადადებებს თურქები ქართველ კოლეგებს სამ თვეში წარუდგენენ. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისადმი მიმართვა ამ პროექტის დაფინანსების წინადადებით. პროექტის საბოლოო ღირებულებაც, დაახლოებით, სამ თვეში გაირკვევა.

# თურქული მარშის ბოლო აკორდი




## მესამე ადგილისთვის ს.კორეა 2:3 თურქეთი





თურქეთის ნაკრები

REUTERS

**გოლები:** *0:1 ჰაკან შუქური (1), 1:1 იანგ ლი (9), 1:2, 1:3 მანსიზ ილჰანი (13, 32), 2:3 სონგი (90).*
**მსაჯი:** *საად მანე (ქუვეიტი).*
**სტადიონი:** *ტეგუ.*
*63483 მაყურებელი.*

კორეელი გულშემატკივრები ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც რომ ვერ წარმოიდგენდნენ, ისეთი შედეგით დასრულდა მცირე ფინალად მონათლული მატჩი მესამე ადგილისთვის. პორტუგალიის, იტალიისა და ესპანეთის დამჩაგვრელმა კორეის ნაკრებმა თურქეთის ეროვნულ გუნდთან წააგო და ხელიდან გაუშვა ბრწყინვალე შანსი, გამხდარიყო მსოფლიოს მესამე საუკეთესო გუნდი.

"სამართალმა პური ჭამაო", – ალბათ დაახლოებით ამგვარ რამეს გაიფიქრებდნენ ტოტი და მორიენტესი, როდესაც მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა და ანის გოლი არ ჩათვალა. რომ არა ქუვეიტელი არბიტრის ეს შეუბრალებელი გადაწყვეტილება, მატჩი იქნებ 90 წუთში არც კი დასრულებულიყო და კორეელებს ამ მუნდიალზე მესამე დამატებითი დრო ეთამაშათ.

თურქებს რაღაც კარგად გამოუვიდათ მასპინძელთა წინააღმდეგ თამაში, რაც ტრადიციულად ძალიან ძნელია ხოლმე. გიუნეშის გუნდი ჯერ იაპონელებს ექცა კოშმარად, მერე კი ზედმეტად გაამაყებულ კორეელებს. არადა, როგორ იმედოვნებდა გუს ჰიდინკი, რომ თავის აზიურ მოღვაწეობას ძალღიჭამიების ნაკრებში ბრინჯაოს მედლებით დაასრულებდა! მართალია, არც ამ წაგებით დააკლდება რამე ჰოლანდიელი სპეციალისტის დიდ ავტორიტეტს, მაგრამ ბევრად უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, ჰიდინკი მსოფლიოს მესამე გუნდის წარმატების სულის ჩამდგმელის ამპლუაში წასულიყო აზიიდან.

როგორც ჩანს, კორეელები ძალიან გადაიღალნენ. მათ ისეთი ენერგიით და თავდადებით ირბინეს მერვედფინალიდან ნახევარფინალამდე, რომ საოცარი სულაც არ არის, თუ ძალა გამოელიათ და ჩვეული სისხარტით ვეღარ ახერხებდნენ მოედანზე მანევრირებას. ყველაფერს წარმოიდგენდა გუს ჰიდინკი, მაგრამ ალბათ აზრადაც კი არ მოუვიდოდა, რომ მისი ნაქები ფეხბურთელები, განსაკუთრებით კი ფიფა-ს მიერ ათ საუკეთესო მოთამაშეთა სიაში შეყვანილი ჰონგ მიუნგ ბო მატჩის პირველსავე წამებზე ასეთ სულელურ შეცდომას დაუშვებდა, რომლის შედეგადაც მანსიზმა და შუქურმა მუნდიალების ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანეს. თავად წარმოიდგინეთ, მსაჯის მიერ წამზომის ჩართვიდან თერთმეტ წამში ჰაკან შუქური უკვე გოლის გატანას ზეიმობდა! საოცრებაა, აბა, რა!

უცნაური და საოცარია ისიც, რომ დაახლოებით მეცამეტე წუთისთვის ანგარიში უკვე 2:1 იყო თურქების სასარგებლოდ. მერედა, არ იკითხავთ, ვისი პასით გაიტანეს თურქებმა მეორე გოლი? ჰაკან შუქურის, ანუ ზუსტად იმ კაცის, ვისაც თურქეთის ნაკრებში ყველაზე მეტად აკრიტიკებდნენ არასტაბილური თამაშის გამო.

ვინც მატჩს უყურა, ალბათ დაიტანჯებოდა თურქების მეკარე რეჩბერ რუშტუს საცოდაობით. სტუმართა გოლკიპერი აშკარად მტკივანი ფეხით თამაშობდა და ამაოდ სთხოვდა შეცვლას შენოლ გიუნეშს, რომელსაც იმდენად ეშინოდა კორეელების, რომ მაშინაც კი ვერ გარისკა რუშტუს მოედნიდან გაყვანა, როცა მისი გუნდი 3:1 იგებდა და შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტიოდე წუთიღა იყო დარჩენილი. მოკლედ, ამ მატჩში იმდენი უცნაური რამ მოხდა, რომ თავსა და ბოლოს ვერ გაუგებდი. მარტო ის რად ღირდა, რომ სონგმა უკანასკნელ დამატებით წუთზე გაიტანა მორიგი გოლი. კორეელებს კიდევ ხუთი წუთი მაინც რომ ჰქონოდათ, იქნებ მოეგოთ კიდეც. მათ ხომ აქვთ დამატებით დროში წარმატების მოპოვების დიდი გამოცდილება.

ასეა თუ ისე, თურქებმა მოიგეს და ჰაკან შუქური იმდენად დიდსულოვანი აღმოჩნდა, რომ კორეელებთან ძმადგაფიცვის იდეა მოუვიდა თავში. მატჩის შემდეგ თურქების კოსმოპოლიტი კაპიტნის ინიციატივით, სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს გადაეხვივნენ და კორეელი გულშემატკივრებით სავსე ტრიბუნებს ერთად გადაუხადეს მადლობა მხარდაჭერისთვის. ოცდამეერთე საუკუნის პირველი მუნდიალის მესამე საუკეთესო გუნდი კი ევრაზიული თურქეთი გახდა.

**შენოლ გიუნეში** *(თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "ერთი წუთითაც კი არ შემპარვია ეჭვი, რომ შევძლებდით გამარჯვების მოპოვებას, ჩვენ ხომ ორჯერ შევხვდით ბრაზილიის ნაკრებს, რომელიც ამ ჩემპიონატზე ალბათ ყველაზე ძლიერია.*

*მართალი გითხრათ, არ მეგონა, თუ ანგარიშის გახსნას პირველსავე წამებზე შევძლებდით. ეს მართლაც საოცრებაა. ჰაკან შუქურმა შესანიშნავი მატჩი ჩაატარა. ამ გამარჯვებას თურქ ხალხს ვუძღვნით."*

**ჰაკან შუქური** *(თურქეთის ნაკრების კაპიტანი): " ბრაზილიასთან წაგების შემდეგ ხალხს დავპირდით, რომ მესამე ადგილი აუცილებლად ჩვენ დაგვრჩებოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ შევძლებდით კორეელების დამარცხებას. მათ კარგი გუნდი ჰყავთ, მაგრამ ჩვენ უფრო მეტი მოტივაცია გვამოძრავებდა. თუქეთის ნაკრები ხომ არასოდეს ყოფილა საუკეთესოთა შორის. ჩვენ დავიმსახურეთ ეს წარმატება."*

**გუს ჰიდინკი** *(სამხრეთ კორეის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "კორეის ნაკრებმა მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ისეთი კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რომ დღეს არავის ეგონა, თუ მესამე ადგილზე ვერ გავიდოდით. ფეხბურთელებმა ყველაფერი გაიღეს გამარჯვებისთვის, მაგრამ ამჯერად მსაჯები ჩვენს მიმართ უსამართლო აღმოჩნდნენ. არ მინდა, მსაჯების შეცდომებზე ლაპარაკი, მაგრამ იქნებ ახლა მაინც გაიგონ, რომ ზოგჯერ არც ჩვენ გვითვლიან გოლებს.*

*მიუხედავად წაგებისა, მაინც ბედნიერი ვარ. კორეის ნაკრები მუნდიალის აღმოჩენად იქცა. ჩვენ საუცხოოდ ვითამაშეთ და გულშემატკივრები გავახარეთ. ფეხბურთში მთავარი სწორედ ეს არის."*

---

# „ვიტ-ჯორჯიას" წვიმაში სილა დააყარეს


შეტევაზეა "ვიტ ჯორჯია"

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

იმისათვის, რომ თბილისის "ვიტ-ჯორჯიას" ინტერტოტოს გათამაშების შემდგომ ეტაპზე გაეღწია, ბელგიის "ლოკერენთან" განმეორებით შეხვედრაში ორი გოლის გატანა სჭირდებოდა, ოღონდ იმ პირობით, თუკი საკუთარ კარს "მშრალად" შეინახავდა. ვეტერინარებმა ამოცანის პირველი ნაწილი "ფრიადზე ამოხსნეს" და არათუ ორი, სამი გოლის გატანაც კი მოახერხეს. მაგრამ მეორე ნაწილში დაცვითი სტილის ფეხბურთის სამშობლოდან-იტალიიდან მოწვეული მწვრთნელის, ჯანი კარნევალეს შეგირდებმა ვერ ივარგეს და ბელგიელებმაც, თუმცა დამარცხებულებმა, მაგრამ კმაყოფილებმა დატოვეს საქართველო.

**ვიტ-ჯორჯია - ლოკერენი 3:2(1:1)**
**პირველი შეხვედრის შედეგი: 1:3**
**გოლები: 0:1 სილა(15`), 1:1 გოჩაშვილი(44`), 1:2 კიმოტე(54`), 2:2 ყიფიანი(60`), 3:2 წუწუნავა(90`)**

თქმა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას "ვიტ-ჯორჯია" ფლობდა, ნამდვილად არ იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ სრულად აგვესახა გუშინ ლოკომოტივის სტადიონის მინდორზე განვითარებული მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ ამინდი უფრო საგაზაფხულო დაემთხვა და 90 წუთი თითქმის გადაუღებლად წვიმდა, მასპინძლებმა ასეთი ამინდისათვის შეუფერებლად მაღალ ტემპში ჩაატარეს ორივე ტაიმი და იმდენი რეალური საგოლე მომენტი შექმნეს, მესამედიც რომ გამოეყენებინათ, 4-5 ბურთის სხვაობით დაამარცხებდნენ მეტოქეს. ჩვენდა სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ თვალნათლივ გამოჩნდა, რომ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების საშემსრულებლო ოსტატობა ძალზე დაბალ დონეზეა. სხვაგვარად ვერც ახსნი ისეთ დაუდევრობას, შესაძლოა დაბალ კლასს, როგორითაც აცუდებდნენ ნაღდ საგოლე მომენტებს ვიტჯორჯიელები. თავდამსხმელთა ამ ინდიფერენტულობას მხარი დაცვის ხაზმაც აუბა და ორჯერ ისე "ჩავარდა", რომ მისი შეცდომების გამოსწორება ამ შეხვედრაში არც თუ ურიგოდ მოასპარეზე მეკარე მერლანმაც ვეღარ შეძლო: "ვიტ-ჯორჯიას" მეორე ეტაპზე გასვლასთან დაკავშირებულ იმედებს სილის დაყრა მე-15 წუთზე დაუწყო "ლოკერენის" თავდამსხმელმა სილამ, 50-ე წუთზე კი ეს იმედები საბოლოოდ დაასამარა კიმოტემ. დარჩენილ დროში "ვიტ-ჯორჯია" ოთხი გოლის გამტანი ნამდვილად არ იყო.

შედეგად, ვეტერინარებს თავიანთი საევროტურნირო ამბიციების კიდევ ერთი წლით გადადება მოუწევთ. ჩვენ კი უკვე მერამდენედ გვიწევს აღიარება, რომ ქართული კლუბების ადგილი ჯერ-ჯერობით ისეთი სუსტი ტურნირის საწყის ეტაპზეც არ არის, როგორიც ინტერტოტოა, უეფა-ს თასზე და ჩემპიონთა ლიგაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

# როდესაც ღმერთი მაღლიდან იყურება, ბრაზილია ჩემპიონატს იგებს

დერეკ ფოლი
იაპონია-კორეიდან
სპეციალურად „24 საათისათვის+„

არ ვიცი, ჩაწერა თუ არა სპეციალური საჩემპიონატო სიმღერა გერმანიის ნაკრებმა, მაგრამ თუ ასეთი სიმღერა მართლაც დაიწერა, მისი ავტორი ჯგუფი Kraftwerk-ი უნდა იყოს. მათი ელექტრონული, რიტმული კომპოზიციები, თავისი ტექსტებით, ყოველთვის რობოტების ასოციაციას იწვევს. მაგალითად, ეს: "მოვდივართ, რობოტები".

ასეა თუ ისე, გაოცებული ვარ იმ ფაქტით, რომ რუდი ფიოლერის "რობოტები" დღეს, იოკოჰამას სტადიონზე აუტსაიდერად ითვლებიან. 1:0 – ამ ანგარიშზე ამყარებს გერმანია იმედებს. პრინციპში, მათ მეოთხედ და ნახევარფინალებში უკვე დაგვანახეს, რომ დიდი შრომით მსგავსი გამარჯვების მოპოვება მართლაც შეუძლიათ.

E ჯგუფში რობი კინის მიერ გატანილი გოლი მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ერთადერთია, რომელიც ოლივერ კანმა ვერ აილო.

სცენის მეორე მხარეს დგას ბრაზილია. ალბათ, არავის შეუძლია 100 პროცენტით იმის პროგნოზირება, თუ რას მოიმოქმედებს ეს ნაკრები დღეს. როგორ ხასიათზე იქნებიან ფეხბურთელები და საერთოდ, რის უნარს გამოავლენენ.

ოლივერ კანი 2002 წლის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარეა და ნამდვილად მართებული იყო მისი საუკეთესოთა ათეულში შეყვანა (თუმცა, ყველა არჩევანს მაინც ვერ დავეთანხმები – ესპანელი ფერნანდო იეროს ამ სიაში გაერთიანება საერთოდ ხუმრობად მიმაჩნია. კაფუს ფონზე, არც რობერტო კარლოსის დასახელება მგონია მართებული - ბრაზილიელთა კაპიტნისთვის მსოფლიო ჩემპიონატზე ეს რიგით მესამე ფინალური მატჩია).

ბევრი შეიძლება იკამათო გერმანელ მცველებზეც. მაგალითად, იგივე ტომას ლინკე ან კრისტოფ მეცელდერი. ამ უკანასკნელს საკვალიფიკაციო მატჩებში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია და მისი ნაკრებში შეყვანით ყველა გაოცებული იყო. მართალია – მეცელდერი ხანდახან ბეკენბაუერს წააგავს, მაგრამ ზოგჯერ მცველისათვის საჭირო მისი უნარ-ჩვევები ეჭვს იწვევს. ისიც ფაქტია, რომ ეს ფეხბურთელი გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა ნახევარფინალში, როცა მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაშობდა.

სებასტიან კელიც ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება. ისიც უკანა ფლანგზე თამაშობს. თუმცა, კელმაც საკვალიფიკაციო შეხვედრებში მხოლოდ ერთხელ ითამაშა, ხოლო კორეა-იაპონიაში ჩამოსვლამდე კიდევ ორ სხვა თამაშში გამოჩნდა.

საერთო ჯამში კი, ვერ ვიტყვით, რომ გერმანული დაცვა საუკეთესო ფორმაშია. თუმცა, ისიც საქმეა, რომ გერმანელი მცველები ათლეტურები, დიდები და ძლიერები არიან და მეტოქის ბლოკირებაც შეუძლიათ.

საინტერესოა, რა ტაქტიკას აირჩევს გუნდი დღეს – შეუტევს იმ იმედით, რომ მათ კარს მსოფლიოში საუკეთესო მეკარე იცავს?

გერმანულ ნახევარდაცვას ნამდვილად ახალისებს კარსტენ რამელოვის ძალა და ენერგია. დიტმარ ჰამანიც ბევრს დარბის, ბევრს ავიწროვებს და, როგორც ჩანს, ის განსაკუთრებულად კომფორტულად თავს მოედნის განაპირას გრძნობს. არც ტორსტენ ფრინგსს უთამაშია საკვალიფიკაციო მატჩებში, მაგრამ ისიც ენერგიითა და ენთუზიაზმით არის სავსე.

ბერნდ შნაიდერი კი ნამდვილი გამოცანაა. მას აქვს ნიჭი, მაგრამ ხანდახან მოედანზე უმიზნოდ დახეტიალებს. ამიტომ, ძალიან გამიკვირდა, როცა ინგლისელთა ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ბობი რობსონმა ის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა.

ნახევარდაცვაში გამოკვეთილი ადგილი უჭირავს კრისტიან ციგესაც. თუმცა, სინამდვილეში, მისი მთავარი ღირსება სიმაღლეა. თორემ ციგე იმ ტიპის ნახევარმცველია, რომელიც გაცილებით უკეთ თამაშობს, როცა უკან იხევს, ვიდრე შეტევაზე გადასვლისას.

ერთი სიტყვით, მრავალი ლაფსუსის მიუხედავად, ეს ფეხბურთელები ძლიერები, მომთხოვნები, ენერგიულები და, რაც მთავარია, გერმანელები არიან. ხომ იცით, რომ გერმანულ თვითდაჯერებას ვერავინ მოერევა, ცხელი შანთებიც რომ გამოიყენოს.

თუმცა, გერმანულ თავადასხმაზე ფსონს ვერავინ დადებს. მიროსლავ კლოზემ საუდის არაბეთთან თამაშის შემდეგ ვერაფრით მომხიბლა. იქნება ოლივერ ნოივილიც. სწორედ ამიტომ ვვარაუდობ, რომ მატჩი ანგარიშით 1:0 დასრულდება. ანდა, 2:1 ბრაზილიელთა სასარგებლოდ – ეს იმიტომ, რომ მათ რონალდო, რივალდო და რონალდინიო ჰყავთ. რონალდო ჯერჯერობით ბოლომდე ფორმაში არ ჩამდგარა და არავინ იცის, რა განწყობაზე იქნება ის დღეს საღამოს, როცა ოთხი წლის წინანდელი ჩემპიონატიც გაახსენდება. რაც შეეხება რივალდოს, ის ჯერჯერობით ბრწყინვალე ფეხბურთს აჩვენებს. ამ ფონზე კიდევ უფრო გასაოცრად ჟღერს "დიდი ფილის" სიტყვები, როცა მან რივალდო დეპრესიულ მანიაკს შეადარა, რომელიც მაშინვე "იმალება", როცა ბედი არ სწყალობს.

როცა გერმანულ ნაკრებზე ვსაუბრობთ, ვახსენებთ ლინკეს, ჰამანს, ციგეს, იერემიესს, მეცელდერს, ფრინგსსა და რამელოვს. ბრაზილიის მთელი იმედები კი რონალდოსა და რივალდოს თამაშს ეფუძნება. რონალდინიოს, უბრალოდ, მიხმარება შეუძლია, თავის გამოჩენის შანსი რობერტო კარლოსსაც აქვს.

რაც შეეხება ბრაზილიურ ნახევარდაცვას, ჰკითხეთ ნებისმიერ მაყურებელს, რონალდინიოს გარდა სხვა ნახევარმცველი დაგისახელოთ და დამერწმუნეთ, გაუჭირდება. ზუსტად არც ვიცი, რატომ არ გამოიყენა სკოლარიმ ჟუნინიოს ძალა. "ფლამენგოს" ამ თავდამსხმელს თავისებური არტისტიზმი მაინც ახასიათებდა.

რაც შეეხება დაცვას, მარკოსი დღემდე აკეთებდა იმას, რასაც მისგან ელოდნენ. როკე ჟუნიორს საჰაერო დუელის მოგება უჭირს (დამეთანხმეთ, გერმანიასთან მატჩში ეს საკმაოდ სახიფათოა) და ეს ლუსიო საერთოდ რას აკეთებს? თითქმის დაუჯერებელია, რომ ბრაზილიის ნაკრებს იგივე ლუსიო იცავს, რომელიც "ბაიერ ლევერკუზენში" მთელი სეზონის განმავლობაში ბრწყინვალედ გამოიყურებოდა. მეოთხედფინალურ შეხვედრაში ბავშვსაც კი ისეთივე შეცდომა რომ დაეშვა, როგორიც ლუსიომ დაუშვა (იგულისხმება ოუენის გოლი), ალბათ გაწკეპლავდით.

ასეა თუ ისე, მაინც რჩება იმედი, რომ დღეს ბრაზილია ისეთ თამაშს აჩვენებს, როგორიც დიდ საფეხბურთო სცენას შეეფერება. წლევანდელი ჩემპიონატი ხომ უამისოდაც ულიმღამო იყო.

ყოველთვის ვამბობდი, რომ როცა ღმერთი მაღლიდან იყურება, ბრაზილია ჩემპიონატს იგებს. ასე რომ, ვთხოვოთ ღმერთს, "დარჩეს შინ"...

თუმცა, გერმანელების გერმანელობა მაინც არ მავიწყდება. არც ინგლისური ლეგენდის, გარი ლინეკერის სიტყვები მაძლევს ამის დავიწყების საშუალებას. მან ერთხელ თქვა: "ფეხბურთი არის თამაში, რომელსაც 90 წუთის განმავლობაში ორი გუნდი თამაშობს, ბოლოს კი მაინც გერმანელები იგებენ".

საგელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისარჩი
[illegible] 1997 [illegible]
[illegible]
ჩვენი ტელეფონები: 25-35-48; (899) 51-19-94

# დღეს ფინალია!

## ბრაზილია სანთლებს ანთებს

პირველი გვერდიდან

მაშინ ის 21 წლის იყო და იმ მატჩში თავისი კარიერის ერ-ერთი ყველაზე ცუდი თამაში აჩვენა, ისევე როგორც მთელმა გუნდმა. ფეხბურთის მეფე პელე რონალდოსგან ამჯერად მეტს მოელის: **"ის ძალიან ჭკვიანურად მოიქცა, რადგან აქამდე ჩატარებულ მატჩებში თავს კარგად გაუფრთხილდა და ფინალისთვის ძალები შემოინახა. ახლა ის სწორედ ფინალშია და ძალებს აღარ დაზოგავს. მას შეუძლია, ძველი დიდება დაიბრუნოს და კვლავ ის რონალდო გახდეს, რომელიც ერთ დროს იყო."**

მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელებმა თავი აშკარა ფავორიტად გამოაცხადეს, სკოლარი გამუდმებით ავარჯიშებს თავის ფეხბურთელებს თერთმეტმეტრიან დარტყმებში, "ყოველი შემთხვევისთვის".

წარუმატებლობის შიში ძალიან დიდია და სრულიად გასაგები: არც ერთ სხვა ქვეყანაში არ აღაზევებენ თავიანთ "ფეხბურთის ღმერთებს" ასე ძალიან, როგორც ეს ბრაზილიაში ხდება, მსოფლიოში არავინ მოიძულებს თავის გუნდს ისე, როგორც ამას ბრაზილიური ტორსიდა გააკეთებს ფინალში ხელმეორედ დამარცხების შემთხვევაში. **"4 წლის წინათ განცდილი მარცხის სიმძიმე დღემდე დიდ ტვირთად მაწვა,"** – აღიარებს 30 წლის რივალდო.

უკანასკნელ დღეებში, ბრაზილიაში ელვის სისწრაფით იყიდება საეკლესიო სანთლები, რომელსაც ხალხი "სელესაოს" სახელზე დაანთებს. ნაკრების მცველმა რობერტო კარლოსმა იცის, რომ მეორედ წაგებულ ფინალს მის სამშობლოში ვეღარ გადაიტანენ: **"მატჩის წინ, სასტუმროში, ჩვენ კიდევ ერთხელ ვნახავთ ბრაზილიაში გადაღებულ ვიდეომასალებს. ვნახავთ ბავშვებს, რომლებიც შუა ღამისას დგებიან საწოლებიდან, რათა ჩვენ გვიქომაგონ. ვნახავთ ხალხს, რომლებიც ჩვენი წარმატებების შემდეგ ქუჩაში ცეკვავენ და სიხარულისგან ტირიან. მერე კი მივხვდებით, რომ გერმანიას არა მხოლოდ ჩვენი თავისთვის უნდა მოვუგოთ, არამედ მთელი ბრაზილიისთვის."**

მწვრთნელი სკოლარი მთავარ აქცენტს კვლავ ფსიქოლოგიურ მომზადებაზე აკეთებს. **"მინდა, რომ ჩემმა ბიჭებმა ლაღად, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე ითამაშონ. პასუხისმგებლობამ ისინი არ უნდა დათრგუნოს. მოთამაშეებს ვთხოვ, რომ არ დაიძაბონ და ფეხბურთი ხალისით ითამაშონ,"** – ამბობს "გენერალი ფელიპაო" და განაგრძობს: **"ტურნირზე გატარებული 4 კვირის მანძილზე ჩვენი ნაკრები შეკრულ გუნდად იქცა და ეს გუნდი მზადაა ჩემპიონობისთვის. მთავარია, საკუთარი ძალების ვიწამოთ, ისე, როგორც ეს წინა შეხვედრებში გავაკეთეთ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ექვსივე მატჩი მოვიგეთ."**

ფინალურ მატჩში ბრაზილიელებს 1970 წლის შემდეგ არ გაუტანიათ გოლი. 1998 წელს 0:3 წაგებულ ფინალს წინ უძღვოდა 1994 წელს მოგებული ჩემპიონატი, რომლის ფინალური მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო უგოლოდ დასრულდა. მაშინ ბრაზილიელებმა პენალტების სერიით შეძლეს გამარჯვების მოპოვება. ამ არცთუ სასიამოვნო სტატისტიკის მიუხედავად, საზღვარგარეთული ტოტალიზატორები ბრაზილიელებს დღევანდელი მატჩის უპირობო ფავორიტად მიიჩნევენ. ინგლისური "William Hill"-ი კი, უკვე კარგა ხანია, აღარ იღებს ფსონებს ბრაზილიელთა ჩემპიონობაზე.

"William Hill"-ს ეთანხმება ბრაზილიური მედიაც. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის სამშობლოში პრესა დიდი ზეიმისთვის ემზადება. **"მეფეები კუთვნილ ტახტს უახლოვდებიან,"** – წერს გაზეთი "Lance". "O Dia" კი ხალხს ჰპირდება: **"გულშემატკივრებს შეუძლიათ მოემზადონ – მალე "პენტა" იქნება!"** "Estado Sao Paolo"-მ კი ნაკრებს გამარჯვება უკვე გაუნაღდა და გამოაცხადა: **"ეს ყველაზე დიდი ტრიუმფი იქნება, რადგან მოწინააღმდეგე გერმანიაა."** ლუის ფელიპე სკოლარი მედიას სიფრთხილისკენ მოუწოდებს. იმავეს აკეთებს ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა, რომელიც მოწინააღმდეგეს დიდი მოწიწებით მოიხსენიებს. გამონაკლისი მხოლოდ რობერტო კარლოსია. მადრიდის "რეალისა" და ნაკრების მცველმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: **"გერმანელებს უნდა უხაროდეთ, რომ ჩვენს წინააღმდეგ თამაშის უფლება მიეცათ."**

ბრაზილია ზეიმისთვის ემზადება. მსაჯის სასტვენის ხმასთან ერთად ქვეყანა არაამქვეყნიურ სიხარულს მიეცემა – წაგების შემთხვევაში კი - გლოვას.



REUTERS

## გერმანიას კანის იმედი აქვს

**"წარმოუდგენელია რაც აქ ხდება, როგორც ჩანს, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა ხდებოდეს,"** – განაცხადა გერმანელთა თავკაცმა რუდი ფიოლერმა პრესკონფერენციაზე, რომელიც გუშინ სასტუმრო "შერატონში" გაიმართა, იქ სადაც გერმანელებმა დაიდეს თავიანთი ბინა. პრესკონფერენციას 60 რადიო და 300 მწერალი ჟურნალისტი დაესწრო. იქ იმყოფებოდა 45! გადამღები ჯგუფი. სასტუმროს ვიწრო დარბაზში არნახული, ნამდვილი ფურორი იყო. როგორც ჩანს, იაპონიაში გერმანელებს ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. ასეთი ყურადღება გერმანელებს 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე არ დაუმსახურებიათ. მაშინაც კი, როდესაც ევროპის ჩემპიონები გახდნენ 1996 წელს. ასეთი ეიფორია ფიოლერს დამატებით სტიმულს აძლევს და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც კიდევ უფრო სასურველი ხდება. **"ამ ტურნირის მანძილზე ყოველთვის მეტს ვაკეთებდით, ვიდრე ხალხს ეგონა. ბევრს ჩვენი არ სჯეროდა, ჩვენ კი ფინალში გავედით. ახლა კიდევ უფრო მეტი გვინდა,"** – აცხადებს ფიოლერი.

გერმანიის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი, ჯერ კიდევ 1990 წელს ფეხბურთელის რანგში დაეუფლა მსოფლიო თასს. მიუხედავად ამისა ის ვერანაირ რჩევას ვერ მისცემს თავის ფეხბურთელებს, თუ როგორ გადალახონ ის მღელვარება, რომელიც ასეთი მნიშვნელობის მატჩს ახლავს თან. **"ვგრძნობ, თუ როგორ მატულობს დაძაბულობა, ყოველი საათით, ყოველი წუთით. მთავარი კი მაშინ დაიწყება, როდესაც მოთამაშეები მატჩის წინ უკანასკნელად წაივარჯიშებენ. ეს რაღაც ენით აუწერელია. არ ვიცი, რა ვურჩიო ჩემს ბიჭებს. თითოეული ადამიანი განსხვავებულად განიცდის ამ ყველაფერს. გამოსავალი თავად უნდა იპოვონ,"** - ამბობს ფიოლერი.

მიუხედავად მატჩის განსხვავებულობისა, გერმანელები შეხვედრისათვის ტრადიციულად ემზადებიან. ფიოლერის თქმით, ფიანალისათვის სამზადისი წინა თამაშებისთვის მზადების იდენტურია, არაფერი განსხვავებული.

გუშინ საღამოს გერმანელებმა უკანასკნელი ვარჯიში, "გენერალური რეპეტიცია" ჩაატარეს იოკოჰამას სტადიონზე, რის შემდეგაც მწვრთნელმა ფეხბურთელებს თავისი შემადგენლობა გაანდო და შეატყობინა, თუ ვინ გამოვა დღეს ძირითადში და ვინ დარჩება სათადარიგოთა სკამზე. წინასწარ იყო ცნობილი, რომ გუნდს ვერ დაეხმარება დისკვალიფიცირებული მიჰაელ ბალაკი. მის შეცვლას ფიოლერი იენს იერემიესით აპირებს. ავად არის კარსტენ იანკერი, რომელსაც მაღალი სიცხე აქვს. ადგილს სათადარიგოთა სკამზე ის ალბათ მაინც დაიკავებს.

როგორც ჩანს, გერმანელებს დღევანდელ მატჩში განსაკუთრებული რეცეპტი არ აქვთ. ფიოლერი მხოლოდ იმაზე საუბრობს, რომ თითოეულმა მისმა ფეხბურთელმა "ცხოვრების მატჩი" უნდა ითამაშოს. განსაკუთრებული იმედები, როგორც ყოველთვის, მეკარე კანზეა დამყარებული. **"ოლივერმა თავის შესაძლებლობებს უნდა გადააჭარბოს"**, - აცხადებს ფიოლერი. ოლივერ კანი ბრაზილიელთა მთავარი საზრუნავიცაა, "სელესაოს" თითოეული წევრი გერმანელთა მეკარეს მეტოქის უმნიშვნელოვანეს კოზირად მიიჩნევს.

წარმატების შემთხვევაში რუდი ფიოლერი თვით დიდ ფრანც ბეკენბაუერს გაუტოლდება, თუმცა ამაზე საუბარი მას ნაადრევად მიაჩნია: **"ამაზე არც კი ვფიქრობ. მთავარია, თასი მოვიგოთ. თუ ეს მოხდება, ყველას საოცრად გაგვეხარდება. მერე კი შინ დავბრუნდებით, სადაც ოჯახები გველიან."**



REUTERS

## ლუსიო თანაგუნდელებზე საუბრობს

ბრაზილიის ნაკრებისა და ლევერკუზენის "ბაიერის" მცველის ლუსიოს აზრით ბრაზილია ხელიდან არ გაუშვებს მსოფლიოს ჩემპიონის მხუთე ტიტულს. გერმანიის სპორტული ინფორმაციის საგენტოსთან (SID) საუბარში, რომელიც გაზეთ "24 საათის" ოფიციალური პარტნიორია, ლუსიო თავისი თანაგუნდელების სიძლიერეებსა და სისუსტეებზე საუბრობს.

*მეკარე:*

**მარკოსი** (პალმეირასი), 28 წლის. *"ის ჩვენი გუნდის დიდი საყრდენია. ასე იყო ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო ეტაპზე. ის კარგი კოორდინატორია და თამაშისას ჩვენთან ბევრს საუბრობს. ეს დამატებითი სტიმულია ჩვენთვის."*

*მცველები:*

**ლუსიო** (ბაიერი), 24 წლის. *"ჩემს თავზე არაფერს ვიტყვი."*

**ედმილსონი** (ლიონი), 25 წლის *"მას მოედნის არაჩვეულებრივი ხედვა აქვს. მას სხვადასხვა პოზიციებზე შეუძლია თამაში და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა."*

**როკე ჟუნიორი** (მილანი), 25 წლის. *"ჩემი პარტნიორი ცენტრალური დაცვის ხაზში. ძლიერია პოზიციურ თამაშში.შესანიშნავია მეორე სართულზე. მისი დარტყმის სიძლიერეზე კი ზედმეტია საუბარი. ყველაფერთან ერთად ის ჩვენი კარგი ხასიათისთვის ზრუნავს."*

*ნახევარმცველები:*

**კაფუ** (რომა), 32 წლის. *"ის ჩვენი სულის ჩამდგმელია. შეტევაში და დაცვაში ერთნაირად ძლიერია.*

**ჟილბერტო სილვა** (ატლეტიკო მინეირო), 25 წლის. *"მას მძიმე დავალება ჰქონდა: შეეცვალა ემერსონი. აქამდე ამას შესანიშნავად აკეთებდა. ის დებიუტანტია და დღემდე უშეცდომოდ თამაშობს."*

**კლებერსონი** (ატლეტიკო პარანაენსე), 23 წლის. *"კლებერსონი ბრაზილიის წლევანდელი ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე იყო. ის არ იღლება და ამავე დროს უმნიშვნელოვანესი ფიგურაა ჩვენს გუნდში."*

**რობერტო კარლოსი** (რეალი), 29 წლის. *"მას არაამქვეყნიური ფიზიკური მონაცემები აქვს. შთაბეჭდილება მრჩება, რომ არასოდეს იღლება."*

**დენილსონი** (ბეტისი), 24 წლის. *"ის ჩვენი მთავარი ჯოკერია."*

*თავდამსხმელები:*

**რონალდინიო** (პარი სენ ჟერმენი), 22 წლის. *"ჩემპიონატის დასაწყისში მას პრობლემები ჰქონდა, მაგრამ დღისათვის ის შეუცვლელია. რონალდინიო ჩვენი გუნდის ხერხემალია."*

**რონალდო** (ინტერი), 25 წლის. *"ის ჩვენი თერმომეტრია ამ ჩემპიონატზე. როდესაც მან მოუმატა, ჩვენ ყველამ მოვუმატეთ."*

**რივალდო** (ბარსელონა), 30 წლის. *"მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეა. ეს არის ფეხბურთელი, რომელსაც ნაკლი არა აქვს. ძლიერია ყველა პოზიციაზე."*

## გერმანელები პროგნოზებს აკეთებენ

მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მთელი გერმანია ჩაერთო. თავიანთ პროგნოზებს აკეთებენ ვეტერანი სპორტსმენები, მსახიობები, პოლიტიკოსები და ა. შ.

გთავაზობთ ზოგიერთი ცნობილი გერმანელი პიროვნების პროგნოზს დღევანდელ ფინალთან დაკავშირებით.

**ბორის ბეკერი** (ყოფილი ჩოგბურთელი): *"გერმანია ანგარიშით 2:1 გაიმარჯვებს, რადგან გუნდი ერთ მუშტად შეიკრა და კარგად ფუნქციონირებს. ოლივერ კანი ერთადერთი სუპერ-ვარსკვლავია ფიოლერის გუნდში.*

**ფრანც ბეკენბაუერი** (ლეგენდარული ფეხბურთელი): *"შესაძლოა ფინალისკენ ჩვენი გზა არც ისე რთული იყო, მაგრამ 6 მატჩიდან 5 მოვიგეთ, ეს იმაზე მეტყველებს, რომ საკმაოდ ძლიერი კოლექტივი გვყავს. ფინალში გამარჯვება რეალურად მეჩვენება."*

**მიჰაელ შუმახერი** (ფორმულა1-ის პილოტი): *"ვიმედოვნებ, რომ გერმანია გაიმარჯვებს. ყოველ შემთხვევაში, მე მათ წარმატებას ვუსურვებ."*

**მარტინ შმიტი** (ტრამპლინიდან მხტომელი): *"ჩემი პროგნოზი არასოდეს გამართლებულა, ამიტომ ბრაზილიას მივანიჭებ უპირატესობას, იმ იმედით, რომ გერმანია გაიმარჯვებს."*

**სვენ ჰანავალდი** (ტრამპლინიდან მხტომელი): *"გული გერმანიისთვის ძგერს, მაგრამ ჩემპიონი ის უნდა გახდეს, ვინც უფრო ძლიერი იქნება."*

**იან ულრიხი** (ველოსიპედისტი): *"გერმანიამ დაამტკიცა, რომ კარგი გუნდია. ამიტომ ვფიქრობ, რომ ბრაზილიის წინააღმდეგაც გვაქვს შანსი. ანგარიშს კი ნამდვილად ვერ დავასახელებ."*

**ნიკოლას კიფერი** (ჩოგბურთელი): *"გერმანია ზედიზედ მეოთხედ მოიგებს ანგარიშით 1:0, ამაში დარწმუნებული ვარ. კლოზე ან ბირჰოფი გადამწყვეტ გოლს გაიტანენ. მიხარია, რომ თამაში ჩემს საჩოგბურთო არდადაგებს დაემთხვა და წყნარად ყურებას შევძლებ."*

**კლაუს კინკელი** (ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი): *"აქ ორი სხვადასხვა სისტემა ხვდება ერთმანეთს: ხელოსნობა და ხელოვნება. მაგრამ ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ვიმედოვნებ, რომ გერმანია გაიმარჯვებს."*

**კარლ-ჰაინც რუმენიგე** ("ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი): *"ბრაზილია ფავორიტია, ჯობდა ფინალში თურქეთს შევხვედროდით. მაგრამ საქმე ისაა, რომ ოლივერ კანი არასოდეს ამთავრებს სეზონს ტიტულის გარეშე..."*

**ოტმარ ჰიცფელდი** ("ბაიერნის" მწვრთნელი): *"ფიოლერმა გუნდი არაჩვეულებრივად კარგადააწყო. გერმანია დამსახურებულად გავიდა ფინალში. ახლა დასაკარგი აღარაფერია, შეგვიძლია მხოლოდ მოვიგოთ."*

**ული ჰიონესი** ("ბაიერნის" მენეჯერი): *"როდესაც გუნდი, 6 თამაშში მხოლოდ ერთ ბურთს გაუშვებს საკუთარ კარში, მაშინ ფინალში გასვლასაც იმსახურებს. ბრაზილიის წინააღმდეგ აშკარა აუთსაიდერები ვართ. მაგრამ შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ ასე შორს წავედით."*

**რაინერ ბონჰოფი** (1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი): *"ჩვენი კომპაქტური და დისციპლინირებული ფეხბურთით ბრაზილიელებს ჩარჩოში მოვათავსებთ და ჩემპიონები გავხდებით. დაცვა სტაბილური გვყავს, ეს კი წარმატების გარანტიაა."*




ბრაზილია – მიღწევები მს. ჩემპიონატებზე

| | მ | ფ | წ | |
|---|---|---|---|---|
| 1930 | 1 | 0 | 1 | 1წრე |
| 1934 | 0 | 0 | 1 | 1წრე |
| 1938 | 3 | 0 | 1 | 3ად. |
| 1950 | 4 | 1 | 1 | 2ად. |
| 1954 | 1 | 1 | 1 | - |
| 1958 | 5 | 1 | 0 | 1ად. |
| 1962 | 5 | 1 | 0 | 1ად. |
| 1966 | 1 | 0 | 2 | 1წრე |
| 1970 | 6 | 0 | 0 | 1ად. |
| 1974 | 3 | 2 | 2 | 4ად. |
| 1978 | 4 | 2 | 1 | 3ად. |
| 1982 | 4 | 0 | 1 | 2წრე |
| 1986 | 4 | 0 | 1 | - |
| 1990 | 3 | 0 | 1 | 2წრე |
| 1994 | 6 | 1 | 0 | 1ად. |
| 1998 | 5 | 0 | 2 | 2ად. |
| 2002 | 6 | 0 | 0 | |
| ჯამში | 58 | 14 | 13 | |

გატანილი 204
გაშვებული 86

გერმანია – მიღწევები მს. ჩემპიონატებზე

| | მ | ფ | წ | |
|---|---|---|---|---|
| 1930 | - | - | - | - |
| 1934 | 3 | 0 | 1 | 3ად. |
| 1938 | 0 | 1 | 1 | 2წრე |
| 1950 | - | - | - | - |
| 1954 | 5 | 0 | 1 | 1ად. |
| 1958 | 2 | 2 | 2 | 4ად. |
| 1962 | 2 | 1 | 1 | - |
| 1966 | 4 | 1 | 1 | 2ად. |
| 1970 | 5 | 0 | 1 | 3ად. |
| 1974 | 6 | 0 | 1 | 1ად. |
| 1978 | 1 | 4 | 1 | 2წრე |
| 1982 | 4 | 1 | 2 | 2ად. |
| 1986 | 4 | 1 | 2 | 2ად. |
| 1990 | 6 | 1 | 0 | 1ად. |
| 1994 | 3 | 1 | 1 | - |
| 1998 | 3 | 1 | 1 | - |
| 2002 | 5 | 1 | 0 | |
| ჯამში | 49 | 18 | 16 | |

გატანილი 189
გაშვებული 105




მსოფლიოს ჩემპიონატი 2002

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

ბრაზილია - გერმანია

მათი ყველა შეხვედრა

ბურთების შეფარდება (31:18)

10 გამარჯვება 4 ფრე 3 გამარჯვება

| | | |
|---|---|---|
| 05.05.1963 | ჰამბურგი | 2:1 |
| 06.06.1965 | რიო დე ჟანეირო | 2:0 |
| 16.06.1968 | შტუტგარტი | 1:2 |
| 14.12.1968 | რიო დე ჟანეირო | 2:2 |
| 16.06.1973 | ბერლინი | 1:0 |
| 12.06.1977 | რიო დე ჟანეირო | 1:1 |
| 05.04.1978 | ჰამბურგი | 1:0 |
| 07.01.1981 | მონტევიდეო | 4:1 |
| 19.05.1981 | შტუტგარტი | 2:1 |
| 21.03.1982 | რიო დე ჯანეირო | 1:0 |
| 12.03.1986 | ფრანკფურტი | 0:2 |
| 12.12.1987 | ბრაზილია | 1:1 |
| 16.12.1992 | პორტო ალეგრე | 3:1 |
| 10.06.1993 | ვაშინგტონი | 3:3 |
| 17.11.1993 | კიოლნი | 1:2 |
| 25.03.1998 | შტუტგარტი | 2:1 |
| 24.07.1999 | გვადალახარა | 4:0 |

# ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი კორეა-იაპონიაში?

ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი კორეა-იაპონიაში? როგორი ანგარიშით დასრულდება ფინალური მატჩის ძირითადი დრო? ვინ არის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი? მეკარე? მცველი? ნახევარმცველი? თავდამსხმელი? არბიტრი? მწვრთნელი? როგორ გამოიყურება სიმბოლური ნაკრები?

## პასუხობენ თბილისელი გულშემატკივრები

სოციოლოგიურმა სამსახურმა "დიამ" 25-28 ივნისს სპეციალურად გაზეთ "24 საათისათვის" ჩაატარა თბილისელი გულშემატკივრების სატელეფონო გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1150-მა რესპოდენტმა

ვინ გაიმარჯვებს ფინალურ მატჩში ბრაზილია-გერმანია?

**ბრაზილია-60%**
**თურქეთი-40%**

### როგორ დასრულდება ბრაზილია-გერმანიის ძირითადი დრო?

| | |
|---|---|
| **გამოკითხულთა 28 პროცენტი** | |
| ბრაზილია 2 | გერმანია 1 |
| **გამოკითხულთა 15 პროცენტი** | |
| ბრაზილია 2 | გერმანია 0 |
| **გამოკითხულთა 15 პროცენტი** | |
| ბრაზილია 1 | გერმანია 0 |
| **გამოკითხულთა 4 პროცენტი** | |
| ბრაზილია 3 | გერმანია 1 |
| **გამოკითხულთა 14 პროცენტი** | |
| გერმანია 1 | ბრაზილია 0 |
| **გამოკითხულთა 10 პროცენტი** | |
| გერმანია 2 | ბრაზილია 1 |
| **გამოკითხულთა 1 პროცენტი** | |
| გერმანია 3 | ბრაზილია 2 |
| **გამოკითხულთა 12 პროცენტი** | |
| ბრაზილია 1 | გერმანია 1 |
| **გამოკითხულთა 1 პროცენტი** | |
| ბრაზილია 0 | გერმანია 0 |

## საუკეთესო მწვრთნელი



- გუს ჰიდინკი 30%
- ლუის ფელიპე სკოლარი 30%
- სვენ გორან ერიკსონი 30%
- სენოლ გიუნეში 30%
- ფილიპ ტრუსიე 30%
- რუდი ფიოლერი 30%
- ბრუნო მეტსიუ 30%

## საუკეთესო მეკარე



- კანი 39%
- კასილასი 20%
- რუშთუ 20%
- მარკეში 12%
- ლი ვონ ჯე 8%

## საუკეთესო დამცველი



- რობერტო კარლოსი 29%
- პუიოლი 22%
- კაფუ 20%
- კემპბელი 16%
- იერო 7%
- პანუჩი 5%

## საუკეთესო ნახევარმცველი



- რონალდინიო 42%
- ბალაკი 21%
- ბეკჰემი 14%
- ბასთურქი 12%
- ფიგუ 6%
- ვერონი 5%

## საუკეთესო ფეხბურთელი



- რონალდო 50%
- კანი 25%
- რონალდინიო 25%

## საუკეთესო მსაჯი



- პიერ-ლუიჯი კოლინა 36%
- კიმ მილტონ ნილსენი 33%
- ურს მეიერი 32%

## საუკეთესო თავდამსხმელი



- რონალდო 40%
- რივალდო 19%
- კლოზე 14%
- ვიერი 8%
- შაში 7%
- ოუენი 6%
- დიუფი 6%

## სიმბოლური ნაკრები



- კანი
- რობერტო კარლოსი
- პუიოლი
- კემპბელი
- იერო
- რონალდინიო
- ბალაკი
- რივალდო
- ვიერი
- რონალდო
- კლოზე

# სააგარაკო ცხოვრების აუტანელი სიმსუბუქე

## ეპიზოდი 4 - კოჯორი



შსს-ს დასასვენებელი სახლის სასადილო

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ნატა ამაღლობელი

**"ტბისკენ გავწიეთ. გაღმა ნაპირზე თვალსუწვდენელი ტყე გადაჭიმულიყო. აქეთ ფიჭვები და არყები იდგა, მოჩანდა ტბის დაბინდული ზედაპირი, ძველი სასაფლაო, რუხი ღრუბლები. შედარება არ დაგვიწყია.თითქოს პირი შეუკრავთო, ისე შევძახეთ: აგერ კოჯორი!"**

**ბორის პასტერნაკი - პაოლო იაშვილს 30 ივნისი 1932 წ.**

ამ სტრიქონებს ნობელის პრემიის მომავალი ლაურეატი ქართველ მეგობრებს ურალიდან სწერდა. წინა ზაფხულის ერთი თვე მან მეუღლესთან და შვილთან ერთად სწორედ კოჯორში გაატარა. შემდეგ ოჯახი ქობულეთში გაემგზავრა. ტიციანი და პაოლო კოჯორში ხშირად აკითხავდნენ, რათა მათთან ერთად ენახა, რას წარმოადგენს ჰაერში დაკიდებული კოჯრის ციხე, უძოს მონასტერი. სწორედ ეს შეგრძნებები და საქართველოში მოგზაურობის სხვა შთაბეჭდილებები განაპირობებს ქართული პოეზიის მისი თარგმანების განსაკუთრებულ ბუნებრიობას.

პასტერნაკმა კოჯორში შექმნა ლექსები, რომელიც შემდეგ გაერთიანდა კრებულში სახელწოდებით "მეორედ დაბადება". მართლაც, კოჯრის კლიმატს სასწაულმოქმედი ძალა აქვს. ზაფხულის გატარება ამ კურორტზე ნამდვილად მეორედ დაბადებას შეიძლება გაუტოლდეს, განსაკუთრებით იმ ადამიანებისათვის, ვისაც ამის სამედიცინო ჩვენება აქვს. დაავადებათა სია ძალიან ვრცელია: სუნთქვის ორგანოთა არა სპეციფიური დაავადებანი, ძვალ-სახსართა და ლიმფური კვანძების დაავადება, ტუბერკულიოზი, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი, მეორეული სისხლნაკლებობა.

ეს სოფელი ზღვის დონიდან 1350 მეტრის სიმაღლეზეა განლაგებული, თბილისიდან კი 18 კილომეტრით არის დაშორებული ( კოლმეურნეობის მოედნიდან). ივლისში საშუალო ტემპეტარურა 18 გრადუსი სითბოა, ნალექების ოდენობა კი წელიწადში 875 მმ უდრის (შედარებისათვის თბილისში ეს მაჩვენებელი 560 მმ-ია.).

ისევე, როგორც ამ მიმართულების სხვა კურორტები, კოჯორიც ცუდად მარაგდება წყლით - კვირაში სამჯერ. მოსახლეობას ეზოებში ავზები აქვს დამონტაჟებული, მაგრამ შესაძლოა ის, რასაც ავზს უწოდებენ, დიდი კასრები აღმოჩნდეს. ასე რომ, ავზისგან განსხვავებით, წყლის ამოღება კასრებიდან თავად მოგიწევთ. კერძო სექტორში არჩევანი საკმაოდ დიდია, შეგიძლიათ ერთი ოთახი იქირაოთ ერთი ან ორი თვით. მთელი სეზონით 1 ოთახი 2 ან 3 საწოლით 200 დოლარი დაგიჯდებათ. თუმცა სამზარეულო და სველი წერტილები მეზობლებთან საზიარო გექნებათ. მთელი სართულის აღება და სრული ავტონომია სახლის პატრონებისა და სააგარაკო მეზობლებისაგან გაცილებით ძვირია - 600 - 1000 დოლარამდე. მთელი სახლის აღებაც 1500 – 2000 დოლარად არის შესაძლებელი.

თუ საკუთარი მანქანა გყავთ, მე გირჩევდით სააგარაკო ნავსაყუდელის ძებნა სოფლის განაპირა მხარეებიდან, ტყის პირას დაგეწყოთ. დიდად ნუ მიაქცევთ ყურადღებას აზრებს ბინების გაქირავების შესახებ, და იკითხეთ ბინა იქ, სადაც ყველაზე მეტად მოგეწონებათ. შესაძლოა ისეთი აღმოჩენა გააკეთოთ, რომელიც მომდევნო წლებშიც კარგ სამსახურს გაგიწევთ.

პროდუქტების შეძენა კოჯორში პრობლემას არ წარმოადგენს. სეზონის გახსნასთან ერთად იხსნება პატარა ბაზარიც. რძის პროდუქტებისა და კვერცხით მომარაგებაზე შეგიძლიათ პირდაპირ შეუთანხმდეთ სოფლის რომელიმე მაცხოვრებელს, და ყოველდღე ნატურალურ რძესა და მაწონს სახლში მოგართმევენ. ფასები აქაც დაახლოებით იგივეა, რაც თბილისში.

გარდა ამისა, კოჯორში მრავლად არის ყოფილი პიონერთა ბანაკები, დასასვენებელი სახლები და საუწყებო აგარაკები. ზოგიერთი მათგანი საკუთრებაშია გადასული და ფუნქციონირება ჯერ არ დაუწყია, ზოგიერთი ფუნქციონირებს, მაგრამ საგზურის აღება მხოლოდ თბილისშია შესაძლებელი.

ადგილზე საგზურის აღება, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, 2 დასასვენებელ სახლში შეიძლება - შინაგან საქმეთა სამინისტროს დასასვენებელ სახლში და სანატორიუმ "დილაში" . ფასები აქ იდენტურია - საშუალოდ ერთი ადამიანისათვის ერთი დღე-ღამე, კვების გარეშე - 5 ლარი.

სანატორიუმი "დილა" რამდენიმე სართულიან კორპუსს წარმოადგენს, რომელიც შემოღობილ ტერიტორიაზეა განლაგებული. აქვს ბავშვთა სათამაშო და საკალათბურთო მოედანი. ფუნქციონირებს სასადილოც, თუმცა აქ შსს-ს დასასვენებელი სახლისაგან განსხვავებით მოგცემენ საშუალებას, სადილი თავად მოამზადოთ. სამზარეულოები ოთახებში გათვალისწინებული არ არის და სანატორიუმის დირექცია ამ მიზნით ფართო დერეფნის გამოყენებას აპირებს.

აბაზანისა და საპირფარეშოს არსებობა ნომერში მას უკვე ლუქსის სტატუსს ანიჭებს და ფასიც შესაბამისი აქვს: ერთი დამსვენებლისათვის ერთი დღე-ღამე 8 ლარი, ხოლო უწყალო ოთახებში დასვენება, შესაბამისად, 4 ლარი ღირს. საერთო სარგებლობის საპირფარეშოები კი იმავე სართულზე დერეფნის ბოლოშია განთავსებული. თუ კვების საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტა მოინდომეთ, თბილისიდან გაზის ბალონი უნდა წამოიღოთ. რამდენიმე ნომრისათვის საერთო სარგებლობის მაცივრებით კი დამსვენებლებს ადმინისტრაცია უზრუნველყოფს.

შსს-ს დასასვენებელი სახლი რამდენიმე ერთსართულიანი კორპუსისაგან შესდგება, რომელიც ასევე შემოღობილ ტერიტორიაზეა განლაგებული. აქვს სათამაშო მოედნები, გასართობი დარბაზი ბავშვებისათვის, სასადილო, წყლის ონკანები და საპირფარეშოები კი გარეთ არის განლაგებული. აქაც ოთახები საერთო დერეფნის ორ მხარეს არის განთავსებული. სანატორიუმ "დილასგან" განსხვავებით აქ დერეფანში ან ნომერში არც გაზის და არც ელექტროქურის შეტანის საშუალებას არ მოგცემენ - შესაბამისად სასადილოში უნდა ისადილოთ, მენიუც შეგიძლიათ მზარეულს შეუთანხმოთ. სამჯერადი კვებით კი აქ სავარაუდო ფასი ერთი დამსვენებლისათვის დაახლოებით 15 ლარს შეადგენს. ადმინისტრაცია სეზონის გახსნასთან ერთად მინიბარს აწყობს, სადაც საღამოს გატარება შეიძლება. ადმინისტრაციის წარმომადგენელმა გვითხრა, რომ ტერიტორიას საკუთარი დაცვაც ყავს, რომელიც აქ წესრიგს უზრუნველყოფს. რამდენად კომფორტული იქნება აქ დასვენება მცირეწლოვან ბავშვთან ერთად, რომელიც შუადღისას იძინებს, დანამდვილებით ვერ გეტყვით.

ასე რომ, კოჯრის ტყის ზღაპრებს სხვადასხვა გზით შეგიძლიათ ეზიაროთ. სასიამოვნო და აუღელვებელ სააგარაკო ცხოვრებას გისურვებთ!

# TV პროგრამა 30 ივნისი

### რუსთავი - 2

- 08.00 მუსიკა
- 09.00 კურიერი
- 09.15 მულტსერიალი
- 10.45 "ოქროს ვარდის გამოქვაბული"
- 11.15 სერიალი "ნიკიტა"
- 12.10 მხ.ფილმი
- 13.50 სიმფსონები
- 14.20 მხ. ფილმი
- 16.50 ჯაზი
- 18.00, 21.00, 23.20 კურიერი
- 18.20 ქართული ფილმი
- 19.50 დოკ. ფილმი "ველური ბუნება"
- 21.25 ჩვენი ეზო
- 21.45 "ჯეოსელის კინოკლუბი". "ანგელის თვალი", "ოქროს თასი", "ლეგენდა ბაგერა ვენსენზე"
- 23.30 მხ.ფ. "მზარეული, ქურდი, მისი ცოლი და ცოლის საყვარელი" მთ.როლებში: ჰელენ მირენი, მაიკ გემბონი

### პირველი არხი

- 08.00, 20.00, 00.00 "მოამბე"
- 08.15 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი"
- 08.40 მეალომანია
- 09.10 "მსოფლიოს ველური ბუნება"
- 10.00 დილის პაემანი
- 11.05 მხიარული კარუსელი
- 11.40 ფალავანი
- 12.00 მსოფლიოს ახალი ამბები
- 12.15 "საა"
- 12.40 "თბილისი და თბილისელები"
- 13.05 "მეტრო"
- 13.40 საკვირაო გამოფენა
- 13.55 მიწის პროექტი საქართველოში
- 14.10 "ამბები ჩვენზე"
- 14.30 ფრანგული პროგრამა "სამურაი"
- 15.35 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი
- 18.15 "ბავშვთა უფლებების კონვენცია"
- 18.40 "მაღალი მოდის სამყარო"
- 19.25 "ჩვენი მისამართია"
- 20.25 ენა დედაა ერისა
- 21.00 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი (ვიდეოჩანაწერი)
- 23.10 "მიამბეთ თქვენზე"
- 00.10 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
- 00.30 მხ.ფ. "გაიქეცი ლოლა, გაიქეცი"

### მეორე არხი

- 19.00 იყო და არა იყო რა
- 19.30 ვიცი
- 20.00 შვიდეული
- 21.00 ფეხბურთი

### ევრიკა

- 11.00 ცისკრის ზარები
- 11.05 მუსიკალური კოლაჟი
- 2.00 თეატრალური შეხვედრები
- 13.25 თბილისური ოჯახები
- 14.10 მუსიკა 15.00, 21.00 ვესტი
- 15.30 საოცარი პირამიდა
- 17.00 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება
- 17.20 საეკლესიო კალენდარი
- 17.35 საუბრები ბიბლიაზე
- 19.00 თქვენი აზრით...
- 19.20 ჩვენი თაობა
- 20.00 თავისუფალი მიკროფონი
- 20.15 მოგზაურობა ბავშვობაში
- 20.30 იქ, სადაც სიყვარულია...
- 22.10 "იდენ ტვ"
- 22.40 სერიალი "მოქალაქე უფროსი"
- 23.40 მსოფლიო სპორტი
- 00.40 მხ. ფილმი "ნიანგი დანდი ლოს-ანჯელესიდან

### იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია

- 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
- 08.15, 20.15 ალსავალი
- 08.20, 10.00, 11.55, 20.20, 22.00, 23.55 მუსიკა
- 08.25 მხ.ფ. "არ თქვა არაფერი"
- 10.10 მხ.ფ. "მიწიერი სურვილები"
- 20.25 მხ.ფ. "ლონდონელი ქოფაკები"
- 22.10 მხ.ფ. "კვალზე მიმავალი"

### პირველი სტერეო

- 07.30 "მადლიანი ცნობა"
- 10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
- 13.00 "პრეს-პრესი" განმეორებით
- 14.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "დილა მშვიდობისა, ვიეტნამო"
- 16.00 "უცნობი" განმეორებით
- 17.00 ათეული
- 18.00 "სოლო" განმეორებით
- 19.00 მუსიკა
- 20.00 მო
- 22.00 ინფორმატორი
- 22.20 რეკლამის ათეული
- 23.00 "ცენტრი"
- 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ზღვის ხმაური". მთ. როლში ლეონორ უოტლინგი
- 01.55 ღამურა "ველური ღამეები". მთ. როლებში რომანა ბორინჯე, მარია შნაიდერი
- 03.15 ნონ-სტოპი

### კავკასია

- 12.00 ინდ. მხ.ფილმი "შეყვარებულები"
- 15.30 მხ.ფ. "მამაცი გული"
- 18.30 მხ.ფ. "სიჩქარე 2"
- 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
- 21.00 მხ.ფ. "ოპერაცია "ი" და შურიკას თავგადასავლები"
- 22.30 მხ.ფ. "მარტოხელა მგელი"
- 00.20 მხ.ფ. "ინტერვიუ ვამპირთან"

### მეცხრე არხი

- 09.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
- 09.20, 20.50, 22.00, 00.10 მუსიკა
- 09.35 მულტფილმი "მხიარული მელოდიები"
- 10.00, 15.00 "დილა"
- 11.20 გადაცემა "ჭკუის კოლოფი"
- 12.00, 14.05 დისქავერი
- 12.30 გადაცემა "საუბრები სტუდიაში"
- 13.20 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
- 16.20 მხ.ფილმი "რობინ ჰუდის თავგადასავალი" მთ. როლებში ეროლ ფლინი, ოლივიე დი ჰევილანდი
- 19.00 მაცაცერა
- 19.10 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
- 19.30 მსოფლიო ფეხბურთი
- 20.00 სად? რა? როდის?
- 21.00 მსოფლიო ჩემპიონატის დღიური
- 21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
- 22.10 მხ.ფ. "ღამე მანჰეტენის თავზე". მთ. როლებში ენდი გარსია, რიჩარდ დრეიფუსი
- 00.20 მხ.ფ. "მოსკიტების სანაპირო". მთ. როლში ჰელენ მილერი

### აჭარის ტელევიზია

- 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
- 09.30 "მსოფლიო თასი-2002"
- 09.40 "ფოკუსი"
- 10.00 სათავგადასავლო ფილმი "ოქროს კულულები"
- 11.25 "პერსონა"
- 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
- 12.15 "Улово"
- 12.45 ფილმი-ზღაპარი "გალგამეტი"
- 14.25 "ყველანი ვართ პატარები"
- 14.35 მხატვრული ფილმი "ინგლისელი"
- 16.15 მულტფილმი "ტეძს ავერი"
- 17.00 თრილერი "შზ5"
- 19.20 ისტორიული ფილმი "პატრიოტი"
- 22.30 " Новости в воскресенье"
- 23.00 "მსოფლიო თასი-2002"
- 23.10 დოკუმენტური ფილმი
- 00.20 დრამა "ტიტუსი"
- 03.30 მხატვრული ფილმი "ჩალის ქოფაკები"
- 05.20 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

- 18.00, 19.50,22.30,01,55 ანონსი
- 18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
- 18.20 "ლა-ლა-ლა"
- 19.00 "აჩიკუდა" ეკრანთან მთელი ოჯახით
- 19.25 "სახლიდან გაუსვლელად"
- 19.40 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა
- 20.40 "ავტოტრეკინგი"
- 21.30 "სახლიდან გაუსვლელად"
- 21.45 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. "ქურდების სკოლა" - 1 სერია
- 23.20 "სახლიდან გაუსვლელად" ღამის სეანსი
- 23.55 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. "ქურდების სკოლა" - მე-2 სერია
- 01.30 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

- 07.45 х.ф. "ДУЛЬСИНЕЯ ТОБОССКАЯ". 2-я серия
- 09.00, 11.00, 16.00 Новости.
- 09.10 Армейский магазин
- 09.40 Дисней-клуб
- 10.05 сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО"
- 11.10 "Непутевые заметки"
- 11.30 Пока все дома.
- 12.10 Спасатели. Экстренный вызов
- 12.40 Клуб путешественников.
- 13.20 сериал "БЕГЛЕЦ"
- 14.10 "Ералаш"
- 14.25 Сами с усами
- 14.55 "Кумиры". Владимир Земляникин
- 15.30 "Мики-Мфус и его друзья"
- 16.10 х.ф. "ДОМ, В КОТОРОМ Я ЖИВУ".
- 18.05 Живая природа. "Голубая бездна"
- 19.00 Большой футбол. Финал
- 19.55 х.ф. "БЫСТРЫЙ И МЕРТВЫЙ"
- 22.00 Времена
- 23.15 Большой бокс
- 00.20 Церемония закрытия 24-го Московского международного кинофестиваля
- 01.20 "КОНФОРМИСТ"

### РТР

- 07.25 Фильм "АКВАЛАНГИ НА ДНЕ "
- 08.55 Сериал "ПОВЕЛИТЕЛЬ ЗВЕРЕЙ"
- 09.50 Русское лото
- 10.40 “ТВ-Бинго шоу”
- 11.20 Доброе утро, страна!
- 11.50 Сам себе режиссер
- 12.45 "Городок"
- 13.25 х.ф. "ДЕВУШКА С ГИТАРОЙ"
- 14.45 Киноистории Глеба Скороходова
- 15.00 Вести.
- 15.20 Лучшиеголы чемпионата мира по футболу
- 15.50 Футбол. Чемпионата мира. Финал
- 18.05 Диалоги о животных
- 19.00 ТВ Бинго-новости
- 19.05 "ЭИР АМЕРИКА"
- 21.00 Вести недели.
- 22.10 Аншлаг
- 23.15 х.ф. “НАБЛЮДАТЕЛЬ"
- 01.15 "ЖЕНЩИНЫ НОЧИ" (США)

### НТВ

- 07.30 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО"
- 09.00, 11.00, 13.00, 17.00 Сегодня.
- 09.20 фильм "ДОСТОЯНИЕ РЕСПУБЛИКИ". 2-я серия
- 10.30 На старт!
- 11.35 фильм "ОХОТА НА ЗОЛУШКУ"
- 12.25 "Растительная жизнь"
- 13.20 фильм "5 МИНУТ СРАХА"
- 15.10 Вкусные истории.
- 15.25 Все сразу
- 16.05 Своя игра.
- 17.20 Профессия - репортер.
- 17.45 "Я и моя собака"
- 18.35 Женский взгляд
- 19.10 Очная ставка
- 19.45 Шоу Елены Степаненко.
- 20.45 фильм "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА" 2-я с.
- 22.00 "Намедни"
- 23.15 Куклы.
- 23.30 Фильм "БЕГУЩИЙ ПО ЛЕЗВИЮ БРИТВЫ" (США)
- 01.55 Пепси-чарт.

